ეწვიეთ ვებ-გვერდს და იკითხეთ ახალი ამბები

14 მარტი, 2016 N16

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

ქართული ინფრასტრუქტურული პროექტების გამარჯვება მსოფლიო ფორუმზე

გვ. 8

მზარდი ურბანული განვითარება, მათ შორის საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მეტწილად დამოკიდებული იქნება სწორედ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. და ვინაიდან მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობას მოუწევს მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის გზით, ყველა ზომის კერძო კომპანიებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, უზარმაზარი შესაძლებლობები მიეცემათ განვითარებისთვის.

რა პირობებში ამოქმედდება საქართველოს ეკონომიკური დიპლომატია

გვ. 5

საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალურად ელჩებისათვის გამოსცა სახელმძღვანელო ეკონომიკური დიპლომატიის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის მიზანს, რაც მოიცავს ქვეყანაში ინვესტირების შესაძლებლობების პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, უცხოური კაპიტალისა და ტექნიკური დახმარების მოზიდვას, საერთაშორისო და რეგიონალური სატრანსპორტო და ენერგო პროექტების რეალიზებას, ქართული ნაწარმისათვის პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნას და გასაღების ბაზრების დივერსიფიცირებას.

სტოლტენბერგმა რუსეთი მისი მეზობლების დაშინებასა და ნატო-ს დაშლის მცდელობაში ამხილა

გვ. 2

ალიანსი კრემლს თავდაცვითი ძალების გაძლიერებით პასუხობს. რუსეთის მიზნებზე საუბრისას სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ მის მიერ განხორციელებული ნაბიჯები წარუმატებელია, რადგან ნატო მსგავს ქმედებებს უფრო მეტი გაერთიანებითა და ინტეგრაციით პასუხობს. თებერვლის დასაწყისში ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება, აღმოსავლეთ საზღვრებთან გაზარდოს სამხედრო მზადყოფნა. ალიანსის წევრი 28 ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები გასული თვის დასაწყისში ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო საზოგადოების იმედად დარჩენილი სავჩენკო განაჩენს ელოდება გვ. 3

ექსპერტების შეფასება და პროგნოზი ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით გვ. 7

ბეგბედერის "მიყვარხარ" ფრანგული აქცენტით გვ. 10

ახალმა კანონპროექტმა შესაძლოა არასრულწლოვანთა ქორწინებები შეამციროს გვ. 11

ქართული სპორტის მემატიანე და მუზეუმის მცველი ექსკლუზივი გვ. 14

ყველა სტუდენტი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია გვ. 15

უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

$	1 USD	2.4258
€	1 EUR	2.6943
£	1 GBP	3.4677
₣	1 CHF	2.4573
₺	1 TRL	0.8427
₽	100 RUB	3.4836
₴	10 UAH	0.9366
₼	1 AZN	1.4565
֏	100 AMD	0.4940

გასული კვირის გაცვლითი კურსის ცვლილებები

სტოლტენბერგმა რუსეთი მისი მეზობლების დაშინებასა და ნატო-ს დაშლის მცდელობაში ამხილა

ბუსამ ფცქიალაძე

ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, რუსეთი არაერთხელ შეეცადა მისი მეზობლების დაშინებასა და ალიანსის დაშლას. სი-ენ-ენ-თან საუბრისას ნორვეგიელმა დიპლომატმა რუსეთის ქმედებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ, მოსკოვის არაერთი ცდის მიუხედავად, დააშინოს მეზობლები და დაშალოს ნატო, ალიანსი მას უპასუხებს უფრო მტკიცე ერთობითა და ახალი სამხედრო კონცეფციის ადაპტირებით.

სტოლტენბერგმა ასევე აღნიშნა, რომ აღმოსავლეთის საზღვრების ნატო-ს სამხედროებით გაძლიერებით შესაძლებელი ხდება რუსეთის გაკონტროლება. მისივე თქმით, ნატო შეწუხებულია რუსეთის სამხედრო ყოფნით სირიასა და ხმელთაშუაზღვის აუზში. ამის გამო ალიანსი, რომელიც სიტუაცას აფასებს რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა, გაეზარდა სამხედროების რაოდენობა თურქეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რადგან რუსეთს რეგიონში გააჩნია საჰაერო ძალები, სამხედრო შენაერთები და საზღვაო ფლოტილია.

ალიანსი კრემლს თავდაცვითი ძალების გაძლიერებით პასუხობს. რუსეთის მიზნებზე საუბრისას სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ მის მიერ განხორციელებული ნაბიჯები წარუმატებელია, რადგან ნატო მსგავს ქმედებებს უფრო მეტი გაერთიანებითა და ინტეგრაციით პასუხობს. თებერვლის დასაწყისში ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება, აღმოსავლეთ საზღვრებთან გაზარდოს სამხედრო მზადყოფნა. ალიანსის წევრი 28 ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები გასული თვის დასაწყისში ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ლიდერების უმთავრესი საზრუნავი ბლოკის აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრებია. უპირველესად ეს ეხება ზედმეტად თვითდაჯერებული რუსეთის ქმედებებს, რომელიც უგულებელჰყოფს საერთაშორისო სამართალს. უმთავრეს პრობლემებს შორისაა ტერორიზმის გავრცელება და მიგრანტების კრიზისი.

ნატო-ს სამხედრო მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდა თავდაცვითი და შეკავების ძალების გაძლიერება უპირველესად აღმოსავლეთ ევროპაში. შეთანხმება დაფუძნებულია ვაშინგტონის 1949 წელს მიღებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც გულისხმობს მოკავშირე ქვეყნის დაცვას, თუკი ალიანსის არაწევრი ქვეყანა მას რაიმე სახით დაემუქრება. ალიანსის წევრებმა მხარი დაუჭირეს სამხედრო გაერთიანების ძალების გაზრდას აღმოსავლეთ საზღვართან. ბრიუსელში გამართულ შეხვედრამდე ოფიციალურმა ვაშინგტონმა განაცხადა, რომ გააოთხმაგებდა ევროპული მხარდაჭერის ინიციატივის დაფინანსებას 3.4 მილიარდ აშშ დოლარამდე. უდავოა, რომ თეთრი სახლის გადაწყვეტილება დიდწილად სწორედ რუსეთის ქმედებებისა და აგრესიული პოლიტიკის შედეგადაა გამოწვეული. თანხა უმეტესად დაიხარჯება აეროდრომების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ტრენინგ-ცენტრებისა და საფრენი ზონის მოწყობაზე მთელი ევროპის მასშტაბით.

თებერვლის სამიტზე ბრიუსელში მინისტრების შეხვედრის პარალელურად სტოლტენბერგი აცხადებდა, რომ არ არსებობდა რაიმე გარდაუვალი საფრთხე ალიანსის წევრი რომელიმე ქვეყნისთვის. კოლექტიურმა უსაფრთხოების სისტემამ კი ყველა წევრი სახელმწიფოს მყარი თავდაცვა უნდა უზრუნველყოს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ნატო უპასუხებს ნებისმიერი სახის აგრესიას მის წევრ ქვეყანაზე. ბოლო დროს ალიანსის წევრები რუსეთის ფედერაციის ქმედებებით გამოწვეულ უკმაყოფილებას ხშირად გამოთქვამენ. ეს არაა განპირობებული მხოლოდ რუსეთის მცდელობებით, შეცვალოს დამოუკიდებელი ქვეყნების საზღვრები სამხედრო ძალის გამოყენებით, როგორც ეს უკრაინისა და საქართველოს შემთხვევაში მოხდა, არამედ რუსეთის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უგულვებელყოფით სირიის საკითხში.

ნატო-სთვის სირიაში განვითარებული მოვლენები ყოველთვის დღის წესრიგშია და მას ორგანიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. სირიაში ჯერ კიდევ არეული სიტუაცია რჩება. ნატო-ს შეშფოთებას უპირველესად იწვევს ის, რომ ბაშარ ალ-ასადი ცდილობს, რუსეთი გამოიყენოს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამავდროულად რუსეთის მხრიდან განხორციელებული საჰაერო დარტყმები გამიზნულია არა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციისთვის და ხშირად ამის გამო ბევრი სამოქალაქო პირი ზარალდება. ეს კი ხელს უწყობს ახალი საიმიგრაციო ტალღის დაძვრას ევროპისკენ. აქედან გამომდინარე, რუსეთის გარდა, ნატო-ს სხვა რამდენიმე პრობლემაც აწუხებს, მათ შორის მიგრანტების კრიზისი, რომელიც არა მხოლოდ ევროკავშირისთვის რჩება მთავარ თავისტკივილად, არამედ ნატო-სთვისაც, რადგან ის მისი წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ეჭვის ქვეშ აყენებს.

რაც შეეხება სტოლტენბერგის განცხადებას რუსეთის მცდელობებზე, დააშინოს მისი მეზობლები და ხელი შეუწყოს ნატო-ს დაშლას. კრემლი მართლაც იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს იმ მეზობელი სახელმწიფოების დასაშინებლად, რომლებიც დასავლეთთან რაიმე სახის ინტეგრაციის სურვილს გამოხატავს, რისთვისაც ჯერ რბილ ძალას მიმართავს (ენერგო-რესურსები, ადგილობრივი პრო-რუსული ძალები და ა.შ.), ხოლო თუკი ეს შედეგს არ გამოიღებს, როგორც უკრაინისა და საქართველოს შემთხვევაში მოხდა, არც ხისტ ძალაზე ამბობს უარს.

დაშინების მცდელობის კარგი მაგალითია მონტენეგრო, რომელიც ნატო-ს წევრობის მთავარ კანდიდატად გვევლინება. მონტენეგროს მზაობა ალიანსში გასაწევრიანებლად რუსეთს, ცხადია, არ სურს, რის გამოც ცდილობს, ერთი მხრივ, პრო-რუსული ძალების გამოყენებას, რათა ხელი შეუშალოს მონტენეგროს მთავრობას მოახდინოს ალიანსის წევრობა და, მეორე მხრივ, დაარწმუნოს მონტენეგროს მოსახლეობა, რომ ეს ნაბიჯი მცდარია. ასევე რუსეთის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში ბევრი ორმხრივი პროექტი სახელმწიფოებს შორის გაუქმდება.

საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთს მონტენეგროზე მანიპულირების ნაკლები ბერკეტი გააჩნია. მონტენეგრო რუსეთის მეზობელი არაა და კრემლს პოდგორიცაზე პირდაპირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ამას გარდა, მონტენეგროს კრემლისთვის ის მნიშვნელობა არ აქვს, რაც საქართველოსა და უკრაინას. შესაბამისად, მისი გაწევრიანება ნატო-ში არ „დაამეზობლებს“ ალიანსსა და რუსეთს, რაც კრემლს ასე რიგად არ სურს.

ნატო-ს მორიგ სამიტამდე კი, რომელიც ვარშავაში 8-9 ივლისს უნდა ჩატარდეს, ალიანსი ბოლო ნაბიჯებს დგამს სტრატეგიული კურსის იმპლემენტაციისკენ კოლექტიური თავდაცვის სისტემის გასაძლიერებლად, რათა შესაბამისი რეაგირება მოახდინოს საერთაშორისო არენაზე შექმნილ ვითარებაზე და თავიდან აიცილოს ყველა ის საფრთხე და გამოწვევა, რაც ორგანიზაციას აწუხებს.

სამთო მომზადების ზამთრის კურსი დასრულდა

ნატოს პროგრამის - “პარტნიორობა მშვიდობისათვის” (PfP) ფარგლებში საბაზისო სამთო მომზადების ზამთრის კურსი დღეს ოფიციალურად დასრულდა. დახურვის საზეიმო ცერემონიალი პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში გაიმართა. ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები დაესწრნენ.

ცერემონიალის დასასრულს სწავლებაში მონაწილე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებმა კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები და სამკერდე ნიშნები მიიღეს.

„საჩხერის სკოლის ინსტრუქტორებმა და ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავისი კლასი. მომზადდა საერთაშორისო მსმენელებისგან შემდგარი კურსი, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები, ასევე აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურემ მშვიდობით და წარმატებით დაასრულა კურსი. რაც მთავარია, მათ შეიძინეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც სამხედრო საქმიანობაში გამოადგებათ”, - განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

ზამთრის საბაზისო კურსი 21 თებერვალს დაიწყო და სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. სწავლება NATO-ს პროგრამის - “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში (PFP) განხორციელდა. ბაკურიანში გამართულ სამთო სწავლებაში თურქეთის, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ.

ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის 28 სამხედრო ზამთრის პირობებში სამთო საბაზისო უნარ-ჩვევებს დაეუფლა. მათ შორის სათხილამურო ტრასაზე თხილამურით სრიალი, მარშ-გადაადგილება და თხილამუ-რებით დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა. სამხედროებმა ასევე შეისწავლეს თოვლში უსაფრთხოების წერტილების გამოყვანა.

საერთაშორისო საზოგადოების იმედად დარჩენილი სავჩენკო ბანაჩენს ელოდება

საღომე ხვედელიძე

უკრაინელ სამხედრო მფრინავს, ნადეჟდა სავჩენკოს, რუსეთის სასამართლო საბოლოო განაჩენს 21 მარტს გამოუტანს. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას 20-25 წლით თავისუფლების აღკვეთა ელოდება.

ნადიას უკრაინა კარგად იცნობს - ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე, ის უკრაინელი ნაციონალისტებისთვის ნამდვილი გმირია. სავჩენკო უკრაინის არმიას 16 წლის ასაკში შეურთდა და 2004 წელს ერაყში უკრაინის სამშვიდობო ძალებში ერთადერთი ქალი ჯარისკაცი იყო. მას ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროსთვის მიმართვა, ქალების უკრაინის პრესტიჟულ საჰაერო ძალების უნივერსიტეტში მიღების თაობაზე. ასევე, უკრაინელმა მფრინავმა უფროსი ლე-იტენანტის წოდება მიიღო და „მი 24-ის“ შტურმან-ოპერატორიც გახდა. 2014 წლიდან ის უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში დაუსწრებლად დელეგაციის მუდმივი წევრია.

რუსული მხარის მტკიცებით, 2014 წლის 17 ივნისს სავჩენკომ ორი რუსი ჟურნალისტის, ანტონ ვოლოშინისა და იგორ კორნელიუკის მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა. მეტიც, ისინი მას ჟურნალისტების მიმართულებით გამიზნულად ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებენ. რუსი მხარე იმასაც ამატებს, რომ მან საზღვარი თავისი ნებით გადაკვეთა და ბრალი დაედო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამოც, რადგან მისი საბუთები ლტოლვილის სტატუსს ამართლებდა. სავჩენკოს ადვოკატის ცნობით, არსებობს სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც ამტკიცებს ბრალდებულის უდანაშაულობას, კერძოდ, ის არ იმყოფებოდა თავდასხმის ადგილას და საერთოდ, რუსი სეპარატისტების მიერ თავდასხმამდე ერთი საათით ადრე იქნა დაკავებული. მომხდარიდან 3 კვირის შემდეგ ორმაგ მკვლელობაში ბრალდებული სავჩენკო რუსეთის ციხეში აღმოჩნდა, სადაც უკვე 20 თვეა იმყოფება.

უკრაინელმა მფრინავმა წინასწარ პატიმრობაში დიდი ხანი დაჰყო. სასამართლომ უკრაინის უმაღლესი რადისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი წევრის იმუნიტეტის აღიარებაზე უარი განაცხადა და არ გაათავისუფლა. ჯერ კიდევ 2014 წლის 8 ივლისს პეტრო პოროშენკომ მიმართა გენერალურ პროკურატურას, რათა ყველა ღონე ეხმარათ სავჩენკოს გასათავისუფლებლად. საპასუხოდ, ვლადიმერ მარკინმა, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის თავჯდომარემ, პოროშენკოს სავჩენკოს გათავისუფლების შანსი მის მიერ ბარაკ ობამას პრეზიდენტად ჩანაცვლების შანსს შეადარა.

რუსეთის მხარემ არაერთხელ უარყო უკრაინელი ოფიციალური პირების მცდელობა, რომ სავჩენკო პატიმართა გაცვლის პროცესში ჩართულიყო რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებთან. მათი მტკიცებით, ის ეჭვმიტანილი კრიმინალია და არა სამხდრო ტყვე. ნოემბერში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, სავჩენკო უნდა „გასამრთლდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით“. მარკ ფეიგინმა, დაცვის მხარემ კი აღნიშნა, რომ „ნადია სავჩენკოს საქმე პოლიტიკურია“ - მისი საქმე სასამართლოს კედლებს მიღმა, კრემლში წყდება.

სავჩენკოს სასამართლო პროცესი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია. მან საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის 7 მარტის განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით. „ღრმად შეშფოთებული ვარ უკრაინელი მფრინავისა და რადის წევრის, ნადია სავჩენკოს ჯანმრთელობით, რომელიც პარასკევიდან მოყოლებული უარს აცხადებს საჭმლისა და წყლის მიღებაზე, რითაც აპროტესტებს მის პატიმრობაში დატოვებას რუსეთის ფედერაციის მიერ. ბოლო 20 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ის აღმოსავლეთ უკრაინაში დააკავეს და გადაიყვანეს რუსეთში, მან გაუძლო დაკითხვებს, იზოლაციაში ყოფნასა და იძულებით „ფსიქიატრიულ შემოწმებებს“. მისი საქმის განხილვა და ხანგრძლივი დაკავება აჩვენებს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სტანდარტების, ისევე, როგორც მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების უგულებელყოფას. ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სავჩენკო და დააბრუნოს ის უკრაინაში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ, სავჩენკოს საკითხი დასავლეთის ლიდერებთანაც განიხილა, მათ შორის, ანგელა მერკელთან და ბარაკ ობამასთან. ორივე მათგანი მხარს უჭერს უკრაინას და მოუწოდეს რუსეთს სავჩენკოს გათავისუფლებისკენ. იგივეს ემსახურება ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული პეტიცია, რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი პირები - ევროპარლამენტის წევრები, დეპუტატები, დიპლომატები, ნობელის პრემიის ლაურეატები, მწერლები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები მთელი მსოფლიოდან.

პარალელურად, უკრაინელ პატიმარს მხარდაჭერას საქართველოშიც უცხადებენ. თბილისში, რუსეთის საელჩოს ყოფილ შენობასთან შეკრებილი მონაწილეები, მის ორწლიან პატიმრობას აროტესტებდნენ და გათავისუფლება ითხოვდნენ. აქცია-პერფომანსის დროს მონაწილეებმა ჰაერში მანათობელი ფრანებიც გაუშვეს.

ნადია სავჩენკომ 9 მარტს, სასამართლო პროცესის დროს, ემოციური მიმართვა გაავრცელა, რომელშიც რუსეთის ხელისუფლებას არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ აფზახეთში, ჩეჩნეთში, სირიასა და დაღესტანში სისხლისღვრაში ადანაშაულებს. მისი თქმით, საქმეს კრემლი წარმართავს და განაჩენსაც ის გამოუტანს. აღნიშნულმა მოვლენებმა კი კარგაად აჩვენა მთელ მსოფლიოს რუსეთის ხელისუფლების ნამდვილი სახე. თავისი მიმართვის ბოლო ნაწილში ის აღნიშნავს, თუ ცოცხალი არა, სამშობლოს მკვდარი მაინც დაუბრუნდება.

უკრაინელი მფრინავი პროტესტის ნიშნად 3 მარტიდან შიმშილობდა და საკვების მიღებაზე კატეგორიულად ამბობდა უარს. 10 მარტს კი, ადვოკატების ცნობით, მან მშრალი შიმშილობა შეწყვიტა და წყლის მიღება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, შიმშილობის შეწყვეტის თხოვნით მას უკრაინის პრეზიდენტმა მიმართა. უნდა ითქვას, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება, მის საკანში კი ექიმს არ უშვებენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო პროცესის მიმდინარეობისას სავჩენკოს მიერ შეურაცხმყოფელი ჟესტის გამოყენების გამო.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პროკურატურის განცხადებით, საქმე უნდა აღძრან შვიდი რუსი პირის: სამი მოსამართლის, ორი გამომძიებელისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიმართ, მტკიცებულებების გაყალბების საფუძველზე.

უკრაინაში 34 წლის ნადია სავჩენკო, რომელიც 20 თვეა პატიმრობაში იმყოფება, ეროვნულ გმირად რჩება. 2015 წლის 2 მარტს პოროშენკომ მას უკრაინის გმირის წოდებაც კი გადასცა. რუსული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხისთვის, ის ქვეყნის მიერ წინააღმდეგობის გაწევისა და ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

საქართველო-რუსეთის სპეციალური წარმომადგენლების მორიგი შეხვედრა 16 მაისს გაიმართება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადილის, გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა 16 მარტს გაიმართება. ამის შესახებ თავად ზურაბ აბაშიძემ რუსულ სააგენტო TACC-თან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები.

პრაღის მორიგ შეხვედრაზე განხილული იქნება ამ ფორმატისთვის ტრადიციული თემები, კერძოდ, ვაჭრობის, ეკონომიკის, ტრანსპორტის, კულტურისა და ჰუმანიტარული სფეროების მნიშვნელოვანი საკითხები.

რუსეთ-საქართველოს დიალოგის აღნიშნული ფორმატი 2012 წლიდან ფუნქციონირებს და მას შემდეგ არა ერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ოპონენტები აბაშიძე-კარასინის შეხვედრებს არაპროდუქტიულად აფასებენ. თუმცა ბოლო შეხვედრას 2015 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის მხრიდან დადებითი შეფასებები მოჰყვა. კონკრეტულად, საუბარი იყო ვაჭრობის საკითხებსა და რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის სიის გაფართოებაზე.

ქართული მედია საშუალებებით რამდენიმე დღეა ვრცელდება ინფორმაცია, რომ პრაღაში მხარეები ორი ქვეყნის პირველი პირების შესაძლო შეხვედრის საკითხსაც განიხილავენ, რაც ზურაბ აბაშიძემ არ დაადასტურა.

ქალები პოლიტიკური პროცესების მიღმა და "გაყინული" კანონპროექტი

ეკა ფხოველიშვილი

გენდერული კვოტა ერთ-ერთი საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად. კვოტირების იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისაგან. რადგან მსოფლიოში მოსახლეობის დიდ ნაწილს ქალები წარმოადგენენ, ლოგიკურია, რომ ამ ჯგუფს შესაბამისი წარმომადგენლობა ჰყავდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოცემულმა არგუმენტაციამ მხარდაჭერა უმალ მოიპოვა, შესაბამისად, კვოტირების სისტემა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს.

პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის მიხედვით, საქართველო ეუთო-ს რეგონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა. სხვადასხვა სახის მმართველობებში ქალების ჩართულობის დონე დაბალია და უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურზეა წარმოდგენილი, მაშინ, როცა გადაწყვეტილების მიმღები პოციზიები უმეტესად მამაკაცებს ეკუთვნით.

2003 წელს საქართველოს პარლამენტში კვოტირების სისტემის დანერგვის ინიციატივამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მიუხედავად ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის 29-ე, 34-ე და 35-ე რეკომენდაციებისა, რომელიც საქართველოს მთავრობას ავალდებულებს სპეციალური ღონისძიებების გატარებას, კერძოდ კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის კვოტირების დაწესებას.

საქართველოს პარლამენტმა შესაძლოა, 2016 წლის არჩევნებამდე ცვლილებები შეიტანოს საარჩევნო კოდექსსა და კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ, რათა აღმოიფხვრას ის გენდერული დისბალანსი, რომელიც თავს იჩენს ადგილობრივ, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ლაპარაკია სავალდებულო გენდერულ კვოტირებაზე, რომელიც ემსახურება ქალთა ჩართულობის გაზრდას სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, როგორებიცაა ნორვეგია, დანია და შვედეთში პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში ნებაყოფლობით დააწესეს კვოტირების სისტემა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კვოტირება დაწესდა საფრანგეთში, ესპანეთში, ჰოლანდიასა და ლათინური ამერიკის 11 ქვეყანაში. ნორვეგია უფრო მეტად წინ წავიდა აღნიშნულ ინიციატივაში, როდესაც 2008 წლისათვის კომპანიების დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ქალებისათვის კვოტა 40%-მდე გაზარდა.

კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები. ასეთი პრაქტიკა გამოიყენება ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ყველაზე მაღალია. ნორვეგია და საფრანგეთი ამ მხრივ ყველაზე განვითარებულია. ნორვეგიაში მმართველი პოციზიების 40% ქალებს უნდა ეკავოთ. ანალოგიური წესი მოქმედებს პარლამენტსა და მთავრობაში. მემარცხენე სოციალისტურ პარტიას 1975 წლიდან აქვს შემოღებული 40%-იანი კვოტა ორივე სქესისათვის. ასევე ახორციელებს სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესს (zipping system). 40%-იანი კვოტა ორივე სქესისათვის ასევე დაწესებული აქვს ნორვეგიის ლეიბორისტულ პარტიას 1983 წლიდან, ცენტრისტულ პარტიას - 1989 წლიდან, ქრისტიანულ სახალხო პარტიას - 1993 წლიდან.

საქართველოში როგორც ჩანს, პარტიულ სიებსა, და ზოგადად, ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მომხრეა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრტიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2014 წლის ოქტომბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს ამომრჩეველთა 70%-ზე მეტს სურს, რომ უფრო მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში, ხოლო პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სავალდებულო კვოტირების შემოღებას სრულად ემხრობა გამოკითხულდა 45%-ი, ხოლო ნაწილობრივ - 25%-ი. ამგვარი ტენდეცია გაგრძელდა 2015 წელსაც. გასული წლის ბოლოს NDI-ის მეირ ჩატარებული გამოკვლევის „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში“ მიხედვით, მოსახლეობის 68%-ი ამბობს, რომ მხარს უჭერს პარლამენტის მიერ სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებას.

ქალთა პოლიტიკური საქმიანობის გაძლიერების საკითხზე მომუშავე ჯგუფის ძალისხმევით სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღების იდეამ კანონპროექტის სახე შეიძინა. ამ ჯგუფის წევრია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების იურისტი ნინო ჯანაშია, რომელიც იმედოვნებს, რომ პარლამენტი კანონპროექტის სახით წარდგენილი რეკომენდაციების დიდ ნაწილს გაითვალისწინებს.

„ეს პროექტი რეალურად გაჩერებულია საერთაშორისო ორგანიზაციებს კი ეუბნებიან, რომ მუშაობენ ამ საკითხზე. მარტში თუ არ შევიდა ცვლილება საარჩევნო კოდექსში, გენდერული კვოტირება 2016 წელს ვეღარ იმოქმედებს, რადგან საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე არ უნდა მოხდეს. ვფიქრობ, პროცესი ხელოვნურად არის „გაყინული“. შეიძლება სულ ასე დარჩეს, ან წინ წავიდეს“, - ამბობს ქალთა მოძრაობის წარმომადგენელი ბაია პატარაია.

თუ პარლამენტში დეპუტატთა მხოლოდ 12%-ი არის ქალი, გაცილებით მძიმე სიტუაციაა ადგილობრივ თვითმმართველობებში. 59 გამგებლიდან მხოლოდ 2 არის ქალი. ქვეყნის არც ერთი მერი და გუბერნატორი არ არის ქალი. გარდა ამისა, NDI-ის კვლევის მიხედვით, 2014 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს 71 თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს შემადგენლობაში არჩეული 2083 დეპუტატიდან, მხოლოდ 11%-ი არის ქალი.

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ნაწილი არ ეთანხმება კვოტირებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს და ვერ აღმოიფხვრას სექსისტური სტერეოტიპები და ქალთა დისკრიმინაცია. კვოტირება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხელოვნური მექანიზმი, რომელიც ვერ გასცემს პასუხს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

საქართველოში კვოტირების სისტემის შემოღება აუცილებელი ნორმაა. ეს იქნება ეფექტური, დროებითი ნორმა, ქალების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გასაზრდელად. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ წარმომადგენლობით ორგანოებში დელეგატთა კრიტიკულ მასად 30%-ი ითვლება. საქართველოში აღნიშნული სისტემის დანერგვამ სავარაუდოდ უნდა გაამართლოს. გენდერული დისბალანსი როგორც პარტიებში, ისე პარლამენტში არასათანადოდ არის დაცული და კვოტირების სისტემის შექმნა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება გენდერული თანასწორობის დასამყარებლად, რომელიც მომავალში ბევრ სიკეთეს მოიტანს.

სალომე ზურაბიშვილმა პრემიერ-მინისტრს ახალი ინიციატივა წარუდგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს, სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრმა პრემიერს საკუთარი ინიციატივა გააცნო, რომელიც „მოქალაქეობის შესახებ” კანონსა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კერძოდ, სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებით, საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად აღარ უნდა შეუწყდეს, როგორც ამას დღეს ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს. მისივე შეფასებით, ეს ევროპულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა და მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოშიც უნდა იყოს მიღებული.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. ბევრი სხვა საკითხი განვიხილეთ. ვისაუბრეთ მიმდინარე პროცესებსა და შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე”,- განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ახალ ინიციატივას განიხილავენ.

პიროდი სხოვრების ამსახველი ვიდეო ჩანანერის გავრცელებაზე გამოძიება მიმდინარეობს

11 მარტს, YouTube-ზე გავრცელდა ვიდეო, რომელიც სავარაუდოდ შეიცავდა ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს. სანამ შესაბამისი სამსახურები მის დაბლოკვას ცდილობდნენ აღნიშნული ვიდეო ეგზავნებოდათ ჟურნალისტებს, ზოგიერთებმა (საინფორმაციო საგენტო IPN-მა და რადიო „ფორტუნამ“) მოცდა არ ისურვეს და უმალ გაავრცელეს ინფორმაცია ვიდეოს შესახებ, ნიუსში ისიც იყო ნახსენები თუ ვინ ფიგურირებდა კადრებში. აღნიშნული ქმედება ისევე როგორც თავად ვიდეოს გადაღება და ატვირთვა, დაგმეს მთავრობის წრეებმა, ოპოზიციურმა პარტიებმა, ჟურნალისტებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა.

„თითოეული ადამიანის დაცვა სახელმწიფოს ღირსების საქმეა. ის, რაც დღეს მოხდა, არის არა ერთი ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების დაშანტაჟებისა და დათრგუნვის მცდელობა. ეს არის დარტყმა სახელმწიფოზე, და ჩვენი პასუხი ამ დარტყმაზე იქნება უმკაცრესი!“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა.

პრემიერმა დავალება მისცა შესაბამის უწყებებს -პროკურატურას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უსწრაფესად გამოიძიონ ეს საქმე. ეს არის საგამოძიებო უწყებების გამოცდა, რომელიც მათ უნდა ჩააბარონ. ჩვენ მზად ვართ, გამოძიების პროცესში ჩავრთოთ ნებისმიერი ორგანიზაცია, ჯგუფი, ვისაც ამ საქმეში დახმარების გაწევა შეუძლია.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ასევე მოუწოდა გამოძიებაში ჩართულ პირებს, რომ ტექნიკური დახმარებისთვის მიმართონ საერთაშორისო ანტი-ტერორისტულ ქსელებს. რადგან აღნიშნული ქმედება არის მთელი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მორალური ტერორის აქტი. „შეუძლებელია ჩვენს შემთხვევაში საქმე გვქონდეს იმ დონის ინტერნეტ-კონსპირატორებთან, რომ აღნიშნულმა სპეციალისტებმა ვერ დაადგინონ მასალების წარმოშობის და გავრცელების ადგილი და სხვა დეტალები“, - აღნიშნავს უსუფაშვილი.

გამოძიების ეფექტურობისთვის, პარლამენტის თავმჯდომარე ითხოვს დაწესდეს მილიონი ლარი და კონსპირაციულობის დაცვის სრული გარანტია იმ პირებისთვის, ვინც გამოძიებას დამნაშავემდე მიიყვანს. აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტი მზად იქნება სერიოზული წვლილი შეიტანოს შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების მოძიებაში.

რა პირობებში ამოქმედდება საქართველოს ეკონომიკური დიპლომატია

გიორგი ჩაფიძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, ეკონომიკური დიპლომატია საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ჯანელიძის აზრით, საქართველოს საელჩოებმა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ეკონომიკური კუთხით უნდა იმუშაონ, რაც ეროვნული ვალუტის გამყარების ხერხს წარმოადგენს. მინისტრმა აგრევე აღნიშნა, რომ ეკონომიკური დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს საელჩოებთან, რათა კოორდინაცია გაუწიოს ქვეყნის ეკონომიკურ დიპლომატიას.

ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის 2015 წლის სექტემბერში საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის ერთ-ერთი ნათელი მოტივი ეკონომიკური კუთხით წარმატებით მუშაობის გამოცდილება იყო, რაც მან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელად მუშაობისას გამოავლინა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წელიწადში ერთხელ აწყობს ამბასადორიალს, რომელზეც ქვეყნის მოქმედი დიპლომატები განიხილავენ გზებს თუ როგორ ემსახურონ ქვეყნის მიმდინარე საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებს.

უკანასკნელი ამბასადორიალის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი ძირითადი სამოქმედო გეგმა ეკონომიკური დიპლომატიაა. ელჩებს მიეცათ კონკრეტული დირექტივები, რათა მოახდინონ საკუთარი დღის წესრიგის რეორგანიზება, დაიწყონ აქტიური მუშაობა ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, გააძლიერონ კავშირები ბიზნესმენებთან და დააინტერესონ ისინი საქართველოში ინვესტირებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალურად ელჩებისათვის გამოსცა სახელმძღვანელო ეკონომიკური დიპლომატიის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის მიზანს, რაც მოიცავს ქვეყანაში ინვესტირების შესაძლებლობების პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, უცხოური კაპიტალისა და ტექნიკური დახმარების მოზიდვას, საერთაშორისო და რეგიონალური სატრანსპორტო და ენერგო პროექტების რეალიზებას, ქართული ნაწარმისათვის პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნას და გასაღების ბაზრების დივერსიფიცირებას. ქართველმა დიპლომატებმა უნდა იმუშაონ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რათა განავითარონ ქვეყნის სოციალური გარემო და მოიძიონ ფონდები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

მიუხედავად აშკარა მიზნისა, წაახალისოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები ამ მიზანმიმართული პოლიტიკის რამდენიმე მახასიათებელი ბუნდოვნად რჩება. ზოგიერთ დიპლომატს არ აქვს საკმარისი პრაქტიკა და კომპეტენცია, რომ პოპულარიზაცია გაუწიოს საქართველოს საინვესტიციო გარემოს. ეს დაშვება მირითადად პოლიტიკური პროფილის დიპლომატებს შეესაბამება. უფრო მეტიც, თუკი ელჩების მთავარი მიზანი უცხოელი ინვესტორების ქვეყნის ეკონომიკით დაინტერესება იქნება, რათა მათ საქართველოში კაპიტალი შემოიტანონ, შესაძლოა, უყურადღებოდ დარჩეს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები. აგრეთვე, სამინისტრომ ელჩების წარმატებაზე მოზიდული ინვესტიციების რაოდენობის მიხედვით არ უნდა იმსჯელოს. ზოგიერთ შემთხვევაში საელჩომ შესაძლოა ინვესტიციების მოსაზიდი ბაზა შექმნას, თუმცა საქართველოდან დაშორებულ ისეთ ქვეყნებში, რომლის მოქალაქეები და ბიზნეს სექტორი კავკასიის რეგიონით დაინტერესებულნი არ არიან, ეს ვერ განხორციელდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე თავის პოზიციას გამოთქვამს ეკონომიკური დიპლომატიის შესახებ. მისი თქმით, ეკონომიკური დიპლომატიის მხრივ მუშაობისას, ელჩებმა არ უნდა დაივიწყონ ქვეყნისათვის ტრადიციულად მნიშვნელოვანი პოლიტიკა, როგორიცაა დეოკუპაცია, დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები. ის განსაკუთრებით აფასებს ეკონომიკური დიპლომატიის მნიშვნელობას ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციის ფონზე, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები ვალუტის უკონტროლო ინფლაციის დასტაბილურებას შეუწყობს ხელს.

კაპანაძე ეკონომიკურ დიპლომატიას ახალ მეთოდად არ მიიჩნევს, რადგანაც მთავრობამ აგვისტოს ომის შემდგომ ეკონომიკური დიპლომატია გააძლიერა და ელჩებს დაეგზავნათ კონკრეტული დირექტივები ამ კუთხით სამუშაოდ. აგრეთვე სამინისტრომ საელჩოებში განაწესა მეტი ეკონომისტი, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდნენ. მისი აზრით, მთავარი პრობლემა ეკონომიკურ დიპლომატიაში არა საელჩოების მუშაობა, არამედ მთავრობის არათანმიმდევრული პოლიტიკა და რეგულაციებია, რაც მსხვილ ინვესტორებს საქართველოს ეკონომიკაში დიდი კაპიტალის შემოტანის სტიმულს უკარგავს. აგრეთვე, სამინისტრო ელჩებს, სავარაუდოდ, კონკრეტულ შედეგებს მოსთხოვს, რაც მათი ყურადღების გადატანას გამოიწვევს ზემოთხსენებული მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან ეკონომიკურ დიპლომატიაზე.

რა სახის ეკონომიკური დიპლომატია არ შეუშლის ხელს საელჩოების პოლიტიკურ მიმართულებას? ზოგიერთი ელჩის თქმით, ეკონომიკური დიპლომატია წარმატებული იქნება თუკი საელჩოებში ეკონომიკური განყოფილება შეიქმნება. ეს განყოფილება უნდა შედგებოდეს ისეთი ეკონომისტებისაგან, რომლებმაც იციან ადგილობრივი ბიზნეს სექტორის სავარაუდო ინტერესები საქართველოში ინვესტირების შესახებ. მათ ქვეყნის ბიზნეს-გარემოს უნდა გაუწიონ პოპულარიზაცია ბიზნეს შეხვედრებსა და კონფერენციებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დაყოფა დამატებით თანხებთან იქნება დაკავშირებული, ეს მაინც მომგებიან ნაბიჯად მიიჩნევა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პროფილის დიპლომატიისათვისაც.

სავაჭრო წარმომადგენლობების ქონა წარმატებული ეკონომიკური დიპლომატიის ერთ-ერთი მახასიათებელია. მაგალითად, ისრაელს აშშ-ში აქვს სავაჭრო წარმომადგენლობა, რომელიც საელჩოს ფარგლებში ფუნქციონირებს და ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ეს წარმომადგენ--ლობა ისრაელს ეხმარება, ჰქონდეს ორმხრივი ურთიერთობები ამერიკულ სამთავრობო ინსტიტუტებთან (როგორიცაა, მაგალითად, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლობა) და კერძო სექტორთან. თუკი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამგვარი წარმომადგენლობის გახსნას გადაწყვეტს იმ ქვეყნებში, რომლებისთვისაც ქართული ბაზარი მიმზიდველად გამოიყურება (აშშ, თურქეთი, უკრაინა და სხვა) ეკონომიკური დიპლომატია უფრო მიზანზე ორიენტირებული და სავარაუდოდ წარმატებული იქნება. ეკონომიკური დიპლომატიისა და მისი მექანიზმების მიუხედავად, საქართველოში უნდა იყოს სტაბილური პოლიტიკური კლიმატი და ეკონომიკური რეგულაციები, რომლებიც ყოველ თვეში არ შეიცვლება. სანამ აღნიშნული გარემოებები დაკმაყოფილებული არ არის, მსხვილი ინვესტორები ქართულ ტურბულენტურ ეკონომიკაში ინვესტირებისაგან თავს შეიკავებენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

2016 წლის 14-18 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევა. დაგეგმილია მინისტრის შეხვედრები აშშ-ის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდება აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება შეხვედრები თეთრი სახლის წარმომადგენლებთან.

ვაშინგტონში მიხეილ ჯანელიძე სენატსა და კონგრესში გამართავს შეხვედრებს. მათ შორის შეხვდება საქართველოს მეგობართა ჯგუფის (Georgia Caucus) თანათავმჯდომარეებს.

მიხეილ ჯანელიძე ასევე გამართავს შეხვედრებს ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი კვლევითი ცენტრების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მინისტრი ასევე სიტყვით გამოვა ატლანტიკურ საბჭოში.

დაგეგმილია მინისტრის ინტერვიუები აშშ-ის წამყვან მედია საშუალებებთან.

არია არიელებზე
ანუ ევროპა შავს არ ატარებს

თეიმურაზ შა

სლოვაკეთის რესპუბლიკაში 2016 წლის 6 მარტს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ 28,3%-ით გაიმარჯვა. თუმცა, შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, სლოვაკეთის არჩევნების გარშემო დიდი აურზაური ატყდა, არა იმის გამო, რომ ქვეყნას ლიდერული პოზიციები უჭირავს ცენტრალურ ევროპაში, არამედ ქვეყნის ისტორიაში პარლამენტში პირველად აირჩიეს ნეო-ნაცისტები. პარტიამ „კოტლება - სახალხო პარტია ჩვენმა სლოვაკეთმა“ ამომრჩეველთა ხმების 8%-ი დაიმსახურა, რაც 150-კაციანი სახალხო რადის 14 მანდატს უდრის.

„კოტლებას“ პარტია 2010 წელს შეიქმნა და ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტური და რასისტული განცხადებებით გამოირჩეოდა, რაც ხშირად ჩვეულებრივი პრიმორდიალისტური პოპულიზმით იყო შემკული. აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთი არ არის პირველი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, სადაც ნეო-ნაცისტები პარლამენტის წევრები ხდებიან. ულტრა-მემარჯვენე ძალები წარმოდგენილნი არიან საბერძნეთის („ოქროს განთიადი“ - „*Χρυσή Αυγή*“), ავსტრიის (თავისუფლების პარტია), დანიის (სახალხო პარტია), ბულგარეთის („შეტევა“ – „*Атака*“), ხორვატიის (HČSP), ესტონეთის (EKRE), გერმანიის (ნაციონალურ - დემოკრატიული პარტია), უნგრეთის („სწორი/უკეთესი“ – „Jobbik“) და ლატვიის (ეროვნული ალიანსი) საკანონმდებლო ორგანოებში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგგან იმდენად ფართო მანდატით არიან წარმოდგენილნი, რადენადაც მათ ავტომატურად ევროპარლამენტის წევრად გახდომის საშუალება აქვთ. ევროპარლამენტის სულ მცირე 21 დეპუტატი მიეკუთვნება სხვადასხვა ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკურ ერთობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი პროცესის - ევროკავშირის ინტეგრაციის იდეა პოსტ-ნაცისტური და პოსტ-ფაშისტური ევროპის ნანგრევებზე აღმოცენდა. 1930-იანებში ულტრა-მემარჯვენეებს შორის გაღვივებულმა „თეთრი ევროპის“ იდეამ შედეგად მოიტანა მილიონობით მსხვერპლი, მასობრივი ტერორი და რადიკალური ეთნო-ცენტრიზმი, რომელმაც საბოლოოდ თავდაპირველი საზღვრები გაარღვია და მეორე მსოფლიო ომიც გამოიწვია.

მიუხედავად ისტორიული მეხსიერებისა, ულტრა-მემარჯვენე ძალები კვლავ არსებობენ მთელი ევროპის მასშტაბით, მათ შორის რუსეთსა და საქართველოშიც. მათ თითქმის არ აქვთ მატერიკული გაერთიანებები, გვხდება რეგიონიული ან პან-რეგიონული ჯგუფები (არსებობს სკანდინავიელთა სახალხო ფრონტი), ეთნო-ლინგვისტური ხასიათის კავშირები (კელტური რასის სიმტკნარის ფონდი), და ა.შ. რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, ნეო-ნაცისტები/ნეო-ფაშისტები იყენებენ ერთსა და იმავე პოპულისტურ მიდგომას - ერის/ეთნოსის გადარჩენა ქვეყნიდან „სხვების“ (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების და ა.შ.) გაყრით ან იზოლაციით. მას ასევე ერთვის ლოკალური პრობლემების დღის წესრიგში დაყენება, ხოლო მათი მოგვარების გზების ჩავარდნის შემთვხვევაში სწორედ იმ „სხვებისთვის“ გადაბრალება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეო-ნაცისტურ ჯგუფებს თავიანთი სიმბოლიკაც აქვთ. უმეტეს შემთხვევაში ეს არის ეთნიკური სოლარული სიმბოლო (მზის, ჯვრის, სხვა რომელიმე გრაფემის გამოსახულების სახით), რომელიც ხშირად არის აღბეჭდილი ეთნოსის ტრადიციულ ტანისამოსში, კულტურაში, აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს ან უბრალოდ ეროვნული სიმბოლოა. ასე, მაგალითად, გერმანიაში იყენებდნენ „სვასტიკას“, რაც მზისა და ნაყოფიერების არიული სიმბოლოა, ბერძნები იყენებენ „მეანდრს“ - მზისა და სიხარულის ბერძნულ ორნამენტს, რუსები - „კოლოვრატს“, სლავურ მზისა და სიცოცხლის ბორბალს. ქართველი ნეო-ნაცისტების ვებ-რესურსებზე გამოქვეყნებულ ემბლემებსა და დროშებზე გამოყენებულია უძველესი ქართული ორნამენტი „ბორჯღალი“, რაც თავის მხრივ, სოლარული სიმბოლოს კავკასიური ნაირსახეობაა.

ევროპაში ნაო-ნაცისტების გააქტიურება განპირობებულია ერთის მხრივ, გლობალიზაციით და მემარცხენე პან-ევროპიზმით, რომლის იდეოლოგიის მიხედვით, ევროპელობა უნდა იქცეს იდენტობის საკვანძო ბურჯად და მეორე მხრივ, ლტოლვილთა კრიზისით, რომლის ფარგლებში 2 მილიონამდე ლტოლვილმა უკვე გადაკვეთა ევროპის საზღვრები და ითხოვს თავშესაფარს. აღსანიშნავია, რომ რადიკალური ორგანიზაციების მხარდაჭერა უფრო დიდია (გამომდინარე არჩევნების შედეგებიდან, სადაც მემარჯვენე/ულტრა-მემარჯვენე პოპულისტური პარტიებმა პარლამენტში მანდატები მოიპოვეს) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, სადაც მიგრანტების რიცხვი ძალიან დაბალია, თუმცა არსებობს მიგრანტთა პროპორციული გადანაწილების პერსპექტივა, რაც თავის მხრივ, მეტად აწუხებს მოსახლეობას. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩნდება რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც წარმართავს (პირობითად) ქერა, მაღალი, სიმპატიური და ქარიზმატული მამაკაცი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰყავდეს ასევე ქერა, ლამაზი ცოლი და სულ მცირე ორი შვილი. ლიდერს უნდა ჰქონდეს განათლებული პიროვნების იმიჯი, რომელსაც უყვარს ჯანსაღი ცხოვრების წესი, საუბარები ერის განსაკუთრებულობაზე, „გენეტიკურ ტალანტებზე“, მიგრანტების გაყრაზე, ეკონომიკის აღორძინებაზე და ა.შ.

ევროპის ჩარჩოებში ქსენოფობიურად განწყობილ ნეო-ნაცისტებს დიდი შედეგების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა ამის საფრთხე მუდამ არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლტოლვილთა ნაკადი არ წყდება, ხოლო ევროპელთა დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო ნეგატიურ ელფერს იღებს.

ევროკომისიამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ წინადადებით მიმართა ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს

2016 წლის 9 მარტს, ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

“მივესალმებით ევროკომისიის მიერ საკანონმდებლო პროცესის ინიცირებას, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში და საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების კიდევ ერთი აღიარებაა” - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ევროკომისიის წინადადება ეფუძნება 2015 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშს, რომლის თანახმად საქართველომ წარმატებით შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა მოთხოვნა ოთხი ძირითადი მიმართულებით: დოკუმენტების უსაფრთხოება; საზღვრის მართვა, მიგრაცია, თავშესაფარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ადამიანის ძირითადი უფლებები.

შემდგომი პროცედურის თანახმად, ევროკომისიის წინადადებას რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ განიხილავენ ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო. ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ, ევროკავშირის საბჭო დაამტკიცებს განახლებულ რეგულაციას და ცვლილებას ხელს მოაწერენ ევროპარლამენტის პრეზიდენტი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. ცვლილების საფუძველზე საქართველო შეტანილ იქნება იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებიც შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით სარგებლობენ. ევროკავშირთან მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება რეგულაციის ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 20 დღეში.

“ჩვენი მოლოდინია, რომ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტში შესაბამისი პროცედურები დროულად დასრულდება და უახლოეს მომავალში, ბიომეტრული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ვიზის გარეშე გაემგზავრონ მოკლევადიანი ვიზიტით (90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში) ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში” - აცხადებენ საგარეო უწყებაში.

მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გავრცელდება 30 ქვეყანაზე: შენგენის სივრცის ევროკავშირის წევრი 22 ქვეყანა: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, იტალია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, საბერძნეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მალტა. შენგენის კანდიდატი, ევროკავშირის 4 წევრი ქვეყანა: კვიპროსი, ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი. შენგენის ასოცირებული 4 ქვეყანა: ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია.

ექსპერტების შეფასება და პროგნოზი ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით

ნატა ბინაძე

„ბლუმბერგის" მონაცემების მიხედვით, ბოლო რამდენიმე დღეა, რაც ლარის კურსი გამყარებას იწყებს. შესაძლოა, ეს ეროვნული ვალუტის დიდი გამყარების დასაწყისიც აღმოჩნდეს და დღევანდელი ტენდენცია შენარჩუნდეს. პოზიტიურ პროგნოზს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადურიც აკეთებს. 7 მარტს, ჟურნალისტებთან საუბარში მინისტრმა აღნიშნა, რომ მოკლევადიან პერიოდში ლარის კურსის დასტაბილურებას, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში - გამყარებას ელოდება. აღნიშნული მოლოდინის საფუძვლად ხადური კერძო სექტორში ინვესტიციების გააქტიურებას ასახელებს. მისივე თქმით, ენერგეტიკაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში შენდება ახალი ტურისტული ობიექტები, ასევე იწყება ათასწლეულის პროექტის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განხორციელება.

გარდა ამისა, მინისტრი სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ინვესტიციებზეც საუბრობს და მაგალითად მოჰყავს ხაშური-ზესტაფონის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც იაპონიის მთავრობის მხრიდან 38.5 მილიონი აშშ დოლარით ფინანსდება.

ნოდარ ხადური იმედოვნებს, რომ აღნიშნული გეგმების შესრულება, ნავთობის ფასის დასტაბილურება და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან ლარის კურსზე ზეწოლის არქონა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და ეროვნული ვალუტის გამყარებას.

ეკონომისტები მინისტრის პოზიციას გარკვეულწილად იზიარებენ და აცხადებენ, რომ ეროვნულმა ვალუტამ დევლავაციის პერიოდი უკვე გაიარა და დისბალანსი დოლართან მიმართებაში აღმოფხვრილია, თუმცა, ამჟამინდელ მთავარ გამოწვევად აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება და ლარის კიდევ უფრო მეტად გამყარება რჩება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტის ეფექტური პოლიტიკა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, როდის დაინიშნება გიორგი ქადაგიძის შემცვლელი. ეკონომისტები იმედოვნებენ, რომ იგი ყოფილ პრეზიდენტზე ეფექტური მმართველი იქნება.

ქადაგიძის მმართველობის 7 წლიანი პერიოდი საქართველოს ეკონომიკისთვის ნეგატიური აღმოჩნდა. ეკონომისტები ამის მიზეზად ასახელებენ: საბანკო სისტემას, რომელიც ქართულ ეკონომიკიდან ფულის „ამოქაჩვის" მექანიზმად იქცა; კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობას; ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების შეუზღუდავ ფლობას; ეკონომიკისა და ბიზნესის პრობლემების ფონზე ბანკების დიდ მოგებას; საბანკო სექტორის მიერ გაცემული 17 მილიარდ კრედიტსა და სანაცვლოდ 300 მილიარდის ღირებული ქონების ჩადებას; ლარის დევალვაციის პირობებში კრედიტების რესტრუქტურიზაციის არაეფექტურობასა და ა.შ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ნოდარ კაპანაძე „ობზერვერთან" საუბარში ამბობს, რომ ლარის კურსის სტაბილურობა და მისი გამყარება ან დაცემა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მათ შორის არის ისეთი ფაქტორები, რომლებზეც საქართველოს გავლენა მინიმალურია, მაგალითად, საგარეო ფაქტორები. თუმცა მისივე თქმით, ყველა რისკის ადეკვატური გააზრების პირობებში ასეთი მავნე ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია. კაპანაძე ეროვნული ბანკის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს ლარის გაუფასურებაში წვლილის შეტანისთვის სდებს ბრალს და თვლის, რომ ქადაგიძე მმართველობის პერიოდში ისედაც მძიმე ტენდენციებს თავისი მოქმედებებით კიდევ უფრო ამძიმებდა. ეკონომისტს მიაჩნია, რომ ამისთვის თუნდაც გაცვლითი კურსის ვარდნის პირობებში ბანკებისათვის რეფინანსირების სესხის სახით 1 მილიარდი ლარის გაცემაც კმარა, ასეთი ღონისძიება კი ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე გაიმეორა.

ირაკლი თედორაძე, „ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე" „ობზერვერთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საკმაოდ ადეკვატურად და ეფექტურად ცდილობს ინვისტიციების მოზიდვას და ახალი ბიზნეს პროექტების წაახალისებას, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ|ბანკში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც ახალი პრეზიდენტის არჩევითაა გამოწვეული. თედორაძის თქმით, აღნიშნული მიზეზები იძლევა იმის საფუძველს, რომ ლარის კურსის სტაბილურობის ახალი ნიშნული მეტად მისაღები იქნება მოსახლეობისთვის, თუმცა ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ კურსი დაუბრუნდება წარსულში არსებულ ნიშნულს - 1.67-ს.

მთავრობამ ლარის კურსის დასარეგულირებლად შეიმუშავა რეფორმები: კომპანიებისთვის აუთვისებელი მოგების გადასახადიდან განთავისუფლება და საბიუჯეტო ხარჯების 300 მილიონით შემცირება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რეფორმა აუთვისებელი გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ 2016 წლის 1 ივლისიდან შევა ძალაში. წინა წლებში ერთ სამინისტროში საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას დანარჩენ უწყებებში მისი ზრდა მოჰყვა, შესაბამისად, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია რეფორმის ეფექტურად ამუშავებაზე მონიტორინგი. მიუხედავად ამისა, ასეთი ინიციატივები ეკონომიკისა და ლარის კურსის სტაბილურობისთვის გრძელვადიან პერიოდში სარგებლის მომტანია, თუმცა ოქტომბრამდე ეს რეფორმები მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ გამოიწვევს.

ირაკლი თედორაძე ლარის კურსის სიმყარის 4 საბაზისო კომპონენტზე საუბრობს: ეროვნული ბანკის ადეკვატური მონეტარული და ფინანსურ-საკრედიტო პოლიტიკა, მსხვილი უცხოური ინვესტიციები, გარე სავაჭრო ბალანსის დადებითი მაჩვენებელი, რათა მოხდეს ფინანსური რესურსის აკუმულირება და ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ. ეკონომისტი ინიციატივებით გამოდის და მთავრობას სტაბილური კურსის შესანარჩუნებლად კონკრეტულ გეგმებს სთავაზობს. თედორაძის თქმით, აუცილებელია ჩაიდოს მსხვილი ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში და სრულად გამოვიყენოთ ირანთან გახსნილი შესაძლებლობა, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.

საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები მთლიანი საინვესტიციო პორტფელიოს 10 პროცენტიც კი არაა, ხოლო სოფლის მეურნეობაზე წილად მთლიანი დასაქმების 50 პროცენტზე მეტი მოდის. ეკონომისტ ნოდარ კაპანაძის თქმით, აღნიშნული განაწილების უცვლელობის პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც აქამდე, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. ექსპერტი განმარტავს, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანია ინვესტიციების რა ნაწილი წავა ეკონომიკის რეალურ სექტორში და რა პირობებით იქნება ის ჩადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ლარის კურსის გამყარება ღირებული შედეგების მომტანი ვერ იქნება.

ირაკლი თედორაძე ხელისუფლებას ურჩევს, რომ მოხდეს საგადასახადო ლიბერალიზაცია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, გამარტივდეს საქმისწარმოება და ბუღალტერია, ასევე უნდა ამოქმედდეს სამეწარმეო და აგრო ბიზნესის რისკების სადაზღვევო სისტემა. თედორაძე აღნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან მართებული ნაბიჯი იქნება თუ მოხდება კრედიტების მარეგულირებელი კანონდებლობისა და სტანდარტების გადახედვა, რათა ხალხს გაუფასურებული ლარი მძიმე ტვირთად აღარ დააწვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, „ეკონომიკის და სამართლის საერთაშორისო საბჭო" კანონპროექტის ინიციატივით გამოდის. თედორაძის თქმით, კანონპროექტი მოგვცემს ლარის კურისის გამყარების პერსპექტივას და ეკონომიკურ სტაბილურობას თითეული მოქალქისთვის. თუმცა, ეკონომისტი იმასაც აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოში ყველა კრედიტი იყოს გაცემული ლარში და დოლარის ექვივალენტით ლარში.

ირაკლი თედორაძე ვარაუდობს, რომ თუ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი ამ ყოველივეს შეძლებს, მაშინ ლარის კურსის სტაბილურობის ახალი ნიშნული მისაღები იქნება და ის მკვეთრ გამყარებას დაიწყებს.

ექსპერტი ნოდარ კაპანაძეც თვლის, რომ სავსებით რეალურია 5-7 წლიან პერიოდში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება, მაგრამ მისთვის უცნობია რამდენ წელს გულისხმობს ნოდარ ხადური საშუალოვადიან პერიოდში. ეკონომისტი განმარტავს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, რეალურ განხორციელებად და გააზრებულ სტრატეგიას ვერცერთი მიმართულებით ვერ ხედავს.

ხელისუფლება და ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებაში შეუძლებელი არაფერია, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე, საგარეო ფაქტორებზე, ეროვნული ბანკის სწორ პოლიტიკაზე, ინვესტიციებზე, ახალ რეფორმებზე და ა.შ. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ეკონომიკის ექსპერტების შეფასებები და რჩევები, რათა ლარის კურსის ზრდის ტენდენცია გაგრძელდეს, ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდეს და საქმე არა ბანკების, არამედ მოქალაქეების სასიკეთოდ წარიმართოს.

ქართული ღვინის კომპანიებს საერთაშორისო კონკურსის ჯილდოები გადასცეს

ტოკიოში კვების პროდუქტებისა და სასმელების 41-ე საერთაშორისო გამოფენა „FOODEX JAPAN 2016" მიმდინარეობს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, წარმოდგენილია ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია.

გამოფენის გახსნის დღეს ქართული ღვინის კომპანიებს გადაეცა საერთაშორისო კონკურსში „საკურა" მიღებული ჯილდოები. „ქართული ღვინის ექსპორტს იაპონიაში დიდი პოტენციალი აქვს. ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ-აზიის რეგიონი, იაპონია ქართული ღვინის მზარდ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს", - განაცხადა ეროვნული საგენტოს თავმჯდომარემ.

კონკურს „საკურას" ხელმძღვანელმა, იაპონიის უმაღლესი კლასის სომელიემ, ქალბატონმა იუმი ტანაბემ აღნიშნა, რომ ქართულმა ღვინომ მას საქართველოს გაცნობის სურვილი გაუჩინა და რომ გეგმავს ეწვიოს საქართველოს.

„FOODEX JAPAN" 1976 წლიდან ტარდება და ის აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენად ითვლება. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოდან იაპონიაში ექსპორტირებული იყო 138 290 ბოთლი ღვინო, რაც 5%-ით აღემატებოდა 2014 წლის ექსპორტს.

ქაოთული ინფრასტრუქტურული პროექტების გამოჩენა მსოფლიო ფორუმზე

აშშ-მ მსოფლიო ინფრასტრუქტურის ლიდერთა მე-9 ფორუმს უმასპინძლა. 9-11 მარტს ვაშინგტონში ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნებიდან 400 აღმასრულებელი შეიკრიბა, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

ფორუმზე განხილული იყო მსოფლიოს წინაშე არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევები და აღინიშნა, რომ ყოველწლიურად საერთაშორისო ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად დამატებით 1 ტრილიონი აშშ დოლარია აუცილებელი. მოსალოდნელია, რომ 2010-2030 წლებში გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 57 ტრილიონი დოლარი იქნება აუცილებელი.

მზარდი ურბანული განვითარება, მათ შორის საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მეტწილად დამოკიდებული იქნება სწორედ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. და ვინაიდან მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობას მოუწევს მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის გზით, ყველა ზომის კერძო კომპანიებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, უზარმაზარი შესაძლებლობები მიეცემათ განვითარებისთვის.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი მსოფლიოს 100 საუკეთესო ინფრასტრუქტურულ პროექტების შორის დასახელდა. ამ უკანასკნელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს. დაჯილდოების ცერემონიალს აშშ–ში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს ვიცე–პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო.

ვიცე-პრემიერი ბრიუს ენდრიუსთან ერთად სიტყვით გამოვიდა ინფრასტრუქტურის ლიდერთა ერთ-ერთ პანელზე და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. დიმიტრი ქუმსიშვილმა ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომელსაც საქართველო ახორციელებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ბიზნესის წახალისებისა და ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიმართულებით. მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოზე, როგორც დიდი პოტენციალის მქონე რეგიონულ სატრანსპორტო–ლოგისტიკურ ცენტრზე, სადაც სხვადასხვა სავაჭრო მიმართულებები იკვეთება. ამ მიმართულებით ქუმსიშვილმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი დაასახელა.

"დიდი სიხარული მოგვიტანა ანაკლიის პროექტის გამარჯვებამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის სტრატეგიული პროექტი, რომელმაც უნდა შეცვალოს ურთიერთკავშირი აზიას, ჩინეთსა და ევროპას შორის. ამით გაჩნდება ის მნიშვნელოვანი კარი, რომელიც უნდა მოემსახუროს ტვირთნაკადს" – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ვიცე-პრემიერმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ აშშ–ს კომერციის დეპარტამენტი ანაკლიის პორტის განხორციელებას მხარს უჭერს.

„ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული მხარდაჭერა, საბოლოო ჯამში, ფინანსურ ინსტრუმენტებში გადაიზრდება და ანაკლიის განვითარების კონსორციუმი მოიზიდავს დაფინანსებას, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტისთვის" – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ფორუმის ფარგლებში დიმიტრი ქუმსიშვილსა და ბრიუს ენდრიუსს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და საქართველოს პრემიერ–მინისტრის მიერ ინიცირებულ 4–პუნქტიან სამთავრობო რეფორმის გეგმაზე. დიმიტრი ქუმსიშვილმა ბრიუს ენდრიუსი აბრეშუმის გზის მეორე ფორუმზე მოიწვია, რომელიც თბილისში 2016 წლის ნოემბერში გაიმართება.

"მოხარული ვარ, რომ აქ ვხედავ ჩემს მეგობარ ვიცე-პრემიერს. დიდი პატივია ჩემთვის მისი ვაშინგტონში ხილვა. როდესაც მე ვსტუმრობდი თბილისს 2015 წლის ოქტომბერში, აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში, ჩემზე წარუშელელი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მიმდინარე, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების რიცხვმა", - განაცხადა ამერიკის კომერციის მდივნის მოადგილემ ბრიუს ენდრიუსმა.

ბრიუს ენდრიუსის თქმით მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ძალისხმევამ, რომლითაც საქართველოს მთავრობა ცდილობს გამოიყენოს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რათა ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას.

„რეგიონის ქვეყნები კარგად აცნობიერებენ, რომ თუ შეიქმნება ერთიანი ეკონომიკური ინტერესების მატარებელი ბლოკი, თითოეული ქვეყანა შეძლებს მეტი სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად უნდა შექმნან ერთიანი ინფრასტრუქტურა, რათა შეძლონ დააკავშირონ ბაზრები და შესაძლებელი გახდეს საქონლისა და მომსახურების რეგიონის ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილება", აღნიშნა ამერიკის კომერციის მდივნის მოადგილემ და დასძინა: „დარწმუნებულები ვართ, რომ ამერიკული კომპანიები ამ რეგიონში შეიტანენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სერვისს, სათანადო გამოცდილებასა და ცოდნას".

ანაკლიის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგური დაახლოებით 400 ჰექტარზე განთავსდება. პორტში გაჩერებას შეძლებენ 10 000 კონტეინერის ტევადობის ხომალდები. პორტი უზრუნველყოფს დიდი ზომის გემების მომსახურებას, რომელთა შემოსვლა საქართველოს პორტებში აქამდე პრობლემური იყო. პროექტის დაფინანსებით დაინტერესებულია როგორც ჩინური ისე ამერიკული მხარე.

გასულ თვეს გაირკვა, რომ სწორედ ამერიკული საინვესტიციო ჰოლდინგი „კონტი ჯგუფი" მიიღებს ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობას.

სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო?!

ირაკლი ფავლენიშვილი

მმართველი გუნდის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება და დევიზი იყო ე.წ. სამართლიანობის აღდგენა და მისი არსი მდგომარეობდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და ამ დანაშაულის მსხვერპლთა რეაბილიტაციაში. სამართლიანობის აღდგენის პროცესის ფარგლებში მთავრობის განკარგულებით, გასულ წელს მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი სავარუდო დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობს.

მთავარი პროკურატურის განცხადებით, მის უწყებაში შესული იყო „ათასობით განცხადება სამართალწარმოების განხორციელების პროცესში მოქალაქეების მიმართ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, იძულების, აგრეთვე ქონების იძულებით დათმობის სავარაუდო ფაქტების არსებობის შესახებ“.

„ახლადშექმნილი დეპარტამენტი უზრუნველყოფს როგორც ზემოთ მითითებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, ასევე გამოძიების პროცესში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებასა და საქმის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას“, - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის მიერ უკანასკნელი თვეების განმავლობაში გახსნილი იქნა რამდენიმე საქმე. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს მთავარ პროკურატურას დაკავებული ჰყავდა სამშენებლო კომპანია ,,მშენებელი XXI საუკუნის“ დირექტორი და დამფუძნებელი მერაბ ლურსმანაშვილი და ნუგზარ ბარბაქაძე, რომელთაც ედავებოდნენ მშენებლობის პროცესში ამხანაგობის კრების ოქმის გაყალბებას და მათ უკანონოდ გამოყენებას.

გამოძიების მსვლელობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დაიბარეს დაკავებული მშენებლების ნუგზარ ბარბაქაძისა და მერაბ ლურსმანაშვილის მეუღლეები - მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი, რომლებსაც განუცხადეს, რომ თუ სურდათ მათ მეუღლეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ამისთვის აუცილებელი იყო უსასყიდლოდ დაეთმოთ წყნეთის გზატკეცილ 39-ში მდებარე მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუგზარ ბარბაქაძეს და მერაბ ლურსმანაშვილს დიდი ხნით მოუწევდათ ციხეში ყოფნა. აღნიშნული ზეწოლის შედეგად, პროკურატურაში არაერთი გამოძახების შემდეგ, მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი იძულებულნი გახდნენ დათანხმებოდნენ პროკურატურის უკანონო მოთხოვნას და მათ საკუთრებაში არსებული ბინები სახელმწიფოს სახელზე გადაფორმეს. მხოლოდ ამის შემდეგ პროკურატურამ ბრალდებულებთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, სადაც არ იქნა ასახული შეთანხმების ,,ჩრდილოვანი პირობა“ - ბინების დათმობა, ბრალდებულებს განესაზღვრათ პირობითი მსჯავრი, დაეკისრათ ჯარიმები და მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება. უკანონოდ ჩამორთმეული ბინები კი პროკურატურის და თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე აღირიცხა.

გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, ბინების ჩამორთმევაში მხილებული ყოფილი პროკურორის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. თანამშრომლობის შედეგად კი, გამოძიება გაგრძელდება პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ. დაზარალებულ მოქალაქეებს მარინე მამაცაშვილს, მერაბ ლურსმანაშვილს, ნუგზარ ბარბაქაძეს და მარინე რუაძეს დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული წყნეთის გზატკეცილ 39-ში მდებარე 150 000 დოლარამდე ღირებულების 166 და 87 კვადრატული მეტრი ორი საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა კიდევ ერთი დაზარალებული მოქალაქის რამაზ თოთლაძის დარღვეული უფლების აღდგენა მოახერხა. რამაზ თოთლაძე თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 5 ივლისს უსაფუძვლოდ დამნაშავედ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის და სასჯელად განუსაზღვრა 50 000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ჩამოართვა საცხოვრებელი ბინა და საოფისე ფართი და მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2016 წლის 14 იანვარს, პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა რამაზ თოთლაძის რეაბილიტაცია - მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა და უკანონოდ ჩამორთმეული საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დაადასტურა, რომ რამაზ თოთლაძეს უკანონოდ ედებოდა ბრალი საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის შეძენის გზით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რის საფუძველზეც მას ჩამორთმეული ჰქონდა ხსენებული უძრავი ქონებები. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 29 თებერვალს რამაზ თოთლაძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მოუხსნა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარი.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართავს, რათა დაზარალებულ მოქალაქეს რამაზ თოთლაძეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ნახევარ მილიონ ლარამდე ღირებულების ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე დუპლექსის ტიპის 535 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა და ამავე მისამართზე მდებარე 57,04 კვადრატული მეტრი საოფისე ფართი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობა მისი დებულებით რეგულირდება. დებულების თანახმად, დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერებისა და სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება.

დებულებაში ასევე აღნიშნულია, რომ დეპარტამენტი სრული მოცულობით ახდენს გამოძიებას და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებას საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დადგენილ საქმეებზე. ბუნდოვანია, რას გულისხმობს ეს ჩანაწერი დებულებაში და რა რეალურ შეზღუდვებს უწესებს ის დეპარტამენტს. გაურკვეველია ასევე დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრულ ყველა საქმეზე განახორციელებს გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას, თუ მოხდება გარკვეულ საქმეთა შერჩევა. შერჩევის შემთხვევაშიც კი, არ არის ცნობილი, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს საქართველოს პროკურატურა.

დეპარტამენტის საქმიანობის სფეროში შემავალ განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიები საჭიროებს მეტ კონკრეტიკას და, ამასთან, საქმეთა შერჩევის კრიტერიუმების არსებობას. მისი საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპებიდან გამომდინარე, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესის განსაზღვრა, ასევე დეპარტამენტის მუშაობის მაქსიმალური ღიაობა და მაღალი გამჭვირვალობა.

“პროცესი, რომელიც პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება დაზარალებული მოქალაქეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იძულებით ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებას, აქტიურად მიმდინარეობს და მას ექნება შეუქცევადი ხასიათი”, - ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის“ კუთხით, ბევრი საკითხი კვლავაც ბუნდოვანია. კითხვებს აჩენს თუ რატომ გამორიცხავს დეპარტამენტი მსგავსი ტიპის დანაშაულების არსებობას 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ. ეს საკითხი გონივრულ ეჭვს აჩენს დებულებაში ნახსენებ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის რეალურ იმპლემენტეცაზე დეპარტამენტის საქმიანობაში.

შეკითხვებს აჩენს ისიც რომ დაანონსებული ათასობით საქმიდან მხოლოდ ერთეული საქმეებია გამოძიებული. „ობზერვერი“ საკითხის გარკვევას შესაბამის დეპარტამენტთან ცდილობდა თუმცა უშედეგოდ, შეკითხვებზე პასუხები ვერც პროკურატურის პრეს ცენტრისგან მივიღეთ.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ქართველი პატიმრები გაათავისუფლა

ენგურის ხიდთან, გამყოფ ხაზზე ქართულ, აფხაზურ და ოსურ მხარეებს შორის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში პატიმრების გათავისუფლება შედგა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულ მხარეს გადმოეცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბოლო 6-7 წლის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს 13 მოქალაქე. მათ სანაცვლოდ ქართულმა მხარემ ოსურ მხარეს 4 გათავისუფლებული პირი გადასცა.

“ჩემთვის უაღრესად ღირებული იყო ეს გადაწყვეტილება. მე შემიძლია მოგიყვანოთ ისრაელის მაგალითი, როცა ერთი ადამიანის გათავისუფლებაში 1000 ადამაინი გადასცა მეორე მხარეს. ამ ადამიანებმა, რომლებიც იყვენ ტერაქტში ბრალდებულები 11 წელზე მეტი მოიხადეს, მათ ჰქონდათ უვადო პატიმრობა. ჩვენ ისინი უკანონო პატიმრობიდან გავათავისუფლეთ, იმის სანაცვლოდ, რაც შეეძლო სახელმწიფოს”, - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

პატიმრების გათავისუფლება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთი დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირდაპირი მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად მოხერხდა.

ბეგბედერის "მიყვარხარ" ფრანგული აქცენტით

თამარ უმფრიანი

მსოფლიო ბესთსელერის „99 ფრანკის“ ავტორი ფრედერიკ ბეგბედერი 11 მარტს საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვია. ექსცენტრული და სკანდალური ფრანგი მწერალი „ჟურნალ 12“-ის შუამდგომლობით ბიბლუს გალერიაში მკითხველს შეხვდა.

საყვარელ ავტორთან შესახვედრად მისულ საზოგადოებას ბეგბედერი სავარძლის მოაჯირზე კომფორტულად მოკალათებული დახვდა. ქართული ღვინის დაგემოვნების შემდეგ, საკუთარი მწირი ქართულის დემონსტრირებაც მოისურვა და სტუმრებს ფრანგული აქცენტით სიყვარულიც აუხსნა.

ღამის კლუბების, გლამურისა და ეპატაჟის მოყვარული მწერალი ფრანგულ არისტოკრატიულ ოჯახში აღიზარდა. მაშინ, როცა მისი ძმა საფრანგეთის ბიზნეს ელიტაში მკვიდრდებოდა, თავად პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტში სწავლობდა. თუმცა, კარიერა სარეკლამო ბიზნესში გააგრძელა და სცენარისტად მუშაობის ათწლიანი გამოცდილების თავზე მსოფლიოს „99 ფრანკი“ აჩუქა, რომელიც ბიბლუს გალერიაში ხელმოწერილ წიგნებს შორისაც დომინირებდა.

სარეკლამო ინდუსტრიაში მიღებულ გამოცდილებას, როგორც ჩანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია, ის ერთნაირად ფლობს იოგურტისა და წიგნის მყიდველის გემოვნებას. „მე ვწერ და თქვენ კითხულობთ. ვწერ და თქვენ ჩემს წიგნებს ყიდულობთ, რადგან ზუსტად ვიცი, როგორ მოგყიდოთ“,- ამბობს მწერალი.

შეხვედრაზე მან აღნიშნა, ყველაზე რთული „ფანჯრები მსოფლიოზე” მუშაობა იყო, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტს ეხება. წიგნზე მუშაობის პროცესში, ის რამდენიმე თვის განთაყვანისმცემლები ავტორსა და მისი რომანების მთავარ გმირებს შორის პარალელს ხშირად ავლებენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში მან სამი ავტობიოგრაფიული რომანი გამოსცა: „შეშლილი ახალგაზრდა კაცის მოგონებები“, „არდადეგები კომაში ყოფნის დროს“ და „სიყვარული სამი წელი ცოცხლობს“

„სიყვარული სამი წელი ცოცხლობს“ ეკრანიზაციის ჩვენება 12 მარტს, კინოთეატრ ამირანში გაიმართა, რომელსაც თავად ბეგბედერიც დაესწრო და ფილმის დასრულების შემდეგ თაყვანისმცემლები ფოტოებითა და ავტოგრაფებით კვლავ გაანებივრა. ამ რომანში, მთავარი გმირი, მარკ მარონიე ნარკოტიკებითა და სექსით ტკბობას ისევ ვერ ელევა, როგორც ავტორი რეალურ ცხოვრებაში. “მარონიე ისეთივე ჰედონისტი და ნარცისია, როგორც მისი შემქმნელი. გარდა ამისა, ის ქალებთან მიმართებაში ნამდვილი ტირანია. მეც ხომ ასეთი ვარ?! მავლობაში პარიზში, მოპასანის კოშკის 56-ე სართულზე მდებარე კაფეს სტუმრობდა. „ვიჯექი კაფეში და ვცდილობდი, წარმომედგინა, რომ კოშკის ერთ-ერთი თანამშრომელი ვარ, ალმოდებული თვითმფრინავი კი სადაცაა შენობას დაეჯახება. 2001 წლიდან მოყოლებული ვფიქრობდი, რომ ჩემი, როგორც მწერლის მორალური ვალდებულებაა მომხდარ ტრაგედიაზე დამეწერა, მაგრამ არ ვიცოდი როგორ. ერთხელ გავიღვიძე და მივხვდი, რომ ამის დროც დადგა”, - ამბობს ბეგბედერი.

ფრანგი მწერლის შემოქმედების იქნებ ცოლმა სწორედ ამის გამო მიმატოვა?!”, - ამბობს ბეგბედერი.

საზოგადოება მწერლის ეპატაჟურ, გიჟურ ცხოვრების სტილზე 2008 წელს აქტიურად ალაპარაკდა, როცა საფრანგეთის პოლიციამ ის სამი გრამი კოკაინის შენახვისთვის დააპატიმრა. მიუხედავად თემის სიმძიმისა, ბეგბედერი ამ ამბავზე ხუმრობს და ამბობს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტთან დაახლოებულ მის გავლენიან ძმას სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ორდღიანი ვიზიტის შემდეგ მწერალმა საქართველო დატოვა. ვერ გეტყვით რამდენად დაამახსოვრდება მას თბილისის ძველი არქიტექტურა, რადგან თავად საკუთარ მოგზაურობებს „საკლუბო ტურიზმად“ მოიხსენიებს, რომლის ფარგლებშიც გარეთ მხოლოდ ღამით, კლუბებში გასართობად გადის. თუმცა, ალბათ არც ქართული სამზარეულო დაავიწყდება და არც ქართველი თაყვანისმცემლებით გადაჭედილი ბიბლუსის გალერეა.

ჩუსთაველის თეატრში სტუდენტური კონკურსი "ჩემი ჩუსთაველი" დაიწყო

9 მარტს, 18:00 საათზე, რუსთაველის თეატრში, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ერთობლივად წარადგინეს სტუდენტური ნაშრომების ეროვნულ კონკურსსა და გენდერული თანასწორობის კამპანიას „ჩემი რუსთაველი“.

გაიმართა მცირე თეატრალური წარმოდგენა – რუსთაველის თეატრის მსახიობები წაიკითხვენ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

2016 წელს საქართველო, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, აღნიშნავს შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავს. სტუნდენტური ნაშრომების კონკურსის მიზანია კიდევ ერთხელ გააცოცხლოს რუსთაველის ჰუმანური, პროგრესული და თანამედროვე იდეები და დღევანდელობას დაუკავშიროს „ვეფხისტყაოსანში“ განხილული ზოგადსაკაცობრიო საკითხები. კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სოლიდური პრიზებით და შესაძლებლობა მიეცათ გაიარონ ოთხთვიანი სამუშაო პრაქტიკა საჯარო უწყებებსა და გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP). ღონისძიება ჩატარდა გენდერული თანასწორობის კვირეულის ფარგლებში.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საერთაშორისო კონფერენციას მართავს

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით 2016 წლის 15 აპრილს ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება.“

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უცხოეთში და საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების სტუდენტებს. ნაშრომი ტურიზმის რომელიმე სფეროს უნდა ეხებოდეს, ხოლო უპირატესობა ღვინის ტურიზმის მიმართულებასა და ინოვაციურ იდეებს მიენიჭება. კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობის ამაღლებას ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საკითხებში. მონაწილეებს საშუალება ექნებათ ჩაატარონ ინდივიდუალური კვლევები და შესთავაზონ ახალი იდეები საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ორგანოს.

გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან, ხოლო შერჩეული ნაშრომები ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოველწლიურ მიმოხილვასთან ერთად კრებულში დაიბეჭდება.

ახალმა კანონპროექტმა შესაძლოა პასუხისმგებლობისგან ქორწინებები შეამსუბუქოს

ნინი ჯაფარიძე

ადრეული ქორწინება და მისი თანმდევი პრობლემები ის რეალობაა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებამ21-ესაუკუნეშიცვერ დაამარცხა. ამ კუთხით არსებული ვითარება საქართველოშიც მწვავედ დგას. მაგალითისთვის UNICEF-ის 2015 წლის კვლევაც გამოდგება სადაც ნათქვაია, რომ ქვეყანაში 18 წლამდე ასაკის მოზარდებს შორის ნაადრევი ქორწინებების რიცხვმა 14 % მიაღწია, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში ეს რიცხვი ნაკლებია და 12 %-ს უტოლდება, სომხეთში კი სულ რაღაც 7 %-ს, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ის კანონი, რომელიც ადრეულ ქორწინებას აღკვეთდა.

ადრეული ქორწინების მიზეზი უამრავია, თუმცა შესაბამისი განათლების არ ქონა და დაბალი ცნობიერება ალბათ უმთავრესია. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არსებულ რეგიონებში ვითარება კიდევ უფრო მძიმედ დგას. იქ, სადაც კომუნიკაციის პრობლემაა საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ ძველი, დრომოჭმული სტერეოტიპებით ცხოვრობს.

ქ-ნი ლიანა ქარელის რაიონის სოფელ ბრეთიდან არის. ის დაწყებითი კლასების პედაგოგია. ამბობს, რომ ადრეულ ასაკში ძალადობის მსხვერპლი გახდა, თუმცა ეს მხოლოდ წლების შემდეგ გააცნობიერა. მეუღლემ რომ მოიტაცა მე-9 კლასის მოსწავლე იყო. თავდაპირველად სახლში გამოკეტა, შემდეგ კი უთხრა, რომ თუ მას ცოლად არ გაჰყვებოდა, ჯერ მოკლავდა, შემდეგ კი თავსაც მოიკლავდა. გათხოვებამდე ლიანას მისი მეუღლე სულ ერთხელ ჰყავდა ნანახი და ისიც მეზობელთან.

“ქორწილი რომ გადავიხადეთ 13 წლის ვიყავი. გათხოვებამდე მეუღლეს არ ვიცნობდი ერთხელ მყავდა ნანახი. ჩემზე 18 წლით უფროსი იყო. მოტაცების შემდეგ 40 დღე სახლში ვყავდი გამოკეტილი. მეუბნებოდა თუ ცოლად არ გამომყვები თავსაც მოვიკლავ და მერე შენც მოგკლავო. ჯერ უარზე ვიყავი, მაგრამ ჩემს ოჯახს, რომ უთხრეს, თქვენი შვილი გათხოვდა და თავს ბედნიერად გრძნობსო, ყველაფრის იმედი დავკარგე. მშობლებმა რომ მოსალოცად მომაკითხეს, დედას ყველაფერი მოვუყევი, ვუთხარი არ მიყვარს ძალით მომიტაცა და მემუქრებოდათქო, მაგრამ დედამ მითხრა, შვილო, სოფელში ყველამ იცის, რომ გათხოვდი და ყველაფერს თავდაყირა ნუ დააყენებ, სირცხვილიაო. მამაშენი კიდევ განათხოვარ ქალს ქმრის ოჯახიდან უკან აღარ წაიყვანსო. მაშინ არ მესმოდა რას ვაკეთებდი. ისე მოვიქეცი, როგორც მითხრეს. ჩემი ქმარი არ მიყვარდა, ისიც არ ვიცოდი სიყვარული რა იყო, მაგრამ მაინც გამათხოვეს. 1 შვილი დამეღუპა, თვენაკლული გავაჩინე. ეს ალბათ ჩემი ასაკის ბრალიც იყო. ახლა 1 ქალიშვილი მყავს. ყველა კაცს მინდა ვთხოვო, რომ არასდროს მოიყვანონ ცოლი მისი ნებართვის გარეშე. ასე არ შეიძლება. ამაზე დიდი ბოროტება არ არსებობს“, - განაცხადა ლიანა ოსიპოვამ.

გასულ წელს მისი 17 წლის ქალიშვილი თანასოფლელმა მოიტაცა. ოსიპოვა ამბობს, რომ შვილს თუ არ დაუბრუნებდნენ, მზად იყო პოტენციური სიძე ციხეშიც ჩაესვა. დღეს მისი შვილი თბილისში სწავლობს და ახალ პროფესიას ეუფლება. „მე განათლება დიდი გაჭვირვებით მივიღე. არც დრო მქონდა და არც საშუალება, იმიტომ რომ ადრე გამათხოვეს ჩემს ქალიშვილს კი ყველაფერი წინ აქვს. ოჯახი მხოლოდ სიყვარულით უნდა შეიქმნას და ისიც ზრდასრულ ასაკში”, - ამბობს ოსიპოვა.

ცივილიზებული საზოგადოებისთვის, იქ, სადაც მცირეწლოვანთა ქორწინებასთან დაკავშირებით მკაცრი რეგულაციები არსებობს, ლიანას ნაამბობი დაუჯერებელი ტრაგედია იქნებოდა. საქართველოში კი ეს თემა რიგ შემთხვევებში ნორმად ქცეული ტრადიციის ნაწილია. ქალების უფლებების დარღვევა, ნაადრევი ქორწინება, მოტაცება და თუნდაც ძალადობა ჩვენი ყოველდღიურობა გახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წამოაყენა, რომელიც ნაადრევი ქორწინების პრევენციას გულისხმობს. კერძოდ, ინიციატივის მიხედვით უნდა შემცირდეს არასრულწლოვანთა ქორწინება, რაც უმეტეს შემთხვევებში მთელი რიგი პრობლემები მოჰყვება: არასრულწლოვანთა ორსულობა და მასთან დაკავშირებული დედათა სიკვდილობა, სხვადასხვა სახის ავადმყოფობა და ჩვილთა უნარშეზღუდულობა.

საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ეკატერინე სხილაძის განმარტებით მათ დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ეს კანონპროექტი ძალაში შესულიყო. 2015 წლიდან არასრულწლოვანზე ქორწინება რიგი მიზეზების გარდა სისხლის სამართლის დამაშაულად ითვლება და მკაცრადაც ისჯება.

“2015 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა, რომ 16-დან 18 წლამდე პირთა შორის ქორწინების რეგისტრაციის პირობები შეცვლილიყო. პარლამენტმა სახალხო დამცველის წინადადება კანონპროექტად აქცია და ის უკვე დამტკიცებულია. 16-18 წლამდე პირებს 2017 წლამდე შეუძლიათ დაარეგისტრირონ თავიანთი ქორწინება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით. ცვლილება აისახება ბავშვის ყოლაზეც, რადგან ქორწინების რეგისტრაცია, როგორც წესი უფლებრივად გავლენას ახდენს შვილებთან დაკავშირებულ უფლება მოვალეობებზე. მაგალითად, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე მარეგულირებელი რამდენიმე ნორმა არსებობს სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან არის სისხლის სამართლის კოდექსის 140 მუხლით დასჯადი ქმედება”, - აღნიშნა მსხილაძემ „ობზერვერთან“ საუბრისას.

მისივე განმარტებით, ამჟამად არასრულწლოვანთა ქორწინების გამოვლენის მიზნით, სახალხო აპარატი აქტიურად თანამშრომლობს როგორც შსს-თან, ასევე სოციალური მოსახურბეის სააგენტოსა და პროკურატურასთან. ისინი სწავლობენ ყველა მსგავს საქმეს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად იმოქმდებენ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი რეგიონებშიც აქტიურად მუშაობს, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და სტერეოტიპების რღვევა.

“ჩვენი საქმიანობა კომპლექსურია. ვთანამშრომლობთ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, პროკურატურასთან, განათლებისა და მეცნიერების საამინისტროსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამას გარდა, სახალხო დამცველი მუდმივად ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს, მათ შორის რეგიონებში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გუშინ გვქონდა ასეთი შეხვერდა ქვემო ქართლის რეგიონში სადაც შევხვდით საზოგადოებას და ვესაუბრეთ ამ კონკრეტულ საკითხზე. ჩვენი საქმიანობა ეს არის მუდმივი პროცესი და ცალკეული შემთხვევების შესწავლით არ შემოიფარგლება. სახალხო დამცველი მის მაქსიმუმს აკეთებს”, - განმარტა სხილაძემ.

სახალხო დამცველის აპარატის პროგნოზებით კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ მცირეწლოვანთა ქორწინებების რიცხვმა უნდა იკლოს, თუმცა არარეგისტრირებული ქორწინებები აქამდეც არსებობდა და შემდეგაც იარსებებს, შეკითხვაზე თუ რატომ არის აზერბაიჯანსა და სომხეთში ნაადრევი ქორწინების ინდიკატორი საქართველოზე ნაკლები, მაშინ როდესაც სომხეთში არ არსეობს რეგულაცია რომელიც ნაადრევ ქორწინებას აღკვეთდა, მსხილაძე აცხადებს, რომ ეს იდენტიფიცირებული ციფრების შედარებაა და სხვაობაც აქედან გამომდინარეობს. მისი განცხადებით, დაბალი ცნობიერება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ვითარებას კი შესაბამისი ორგანოების არასათანადო მუშაობაც ამწვავებს.

“რაც შეეხება ციფრებს გეთანხმებით, ეს არის ფაქტები და საერთაშორისო სტატისტიკა ამაც ცხადჰყოფს. მართალია ჩვენთან კანონი უკვე მიიღეს, მაგრამ ეს არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა გარდა ამისა, სამწუხაროდ ყვე-ლაფერი ისე არ ხორციელდება როგორც საჭიროა.

საქართველოში არსებული მაღალი მაჩვენებული განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადრეული ქორწინება ეს არის დანაშაული და რა უარყოფითი შედეგი მოაქვს. ამასთან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სერვისების არაეფექტური მიწოდება. ეს არის ხარვეზი როგირც პოლიციის ასე-ვე განათლების დაწესებულებების, ამ შემთხვევაში სკოლების მუშაობის და სოციალური მუშაკების მუშაობის. სამწუხაროდ ხშირად ხდება, რომ შესაბამისი სამსახურებიც არ აღიქვამენ პრობლემის სიმწვავეს და ჰქონიათ რომ არასრულწლოვანთა ქორწინება ეს არის მხოლოდ ოჯახის საქმე. ცნობიერება ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა ჩვენთვის. როგორც წესი ადრეული ქორწინებების ციფრი ყველაზე მაღალია ეთნიკურ უმცირესობათა შორის და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შორის, რეგიონებში. თუმცა ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებით, მინდა ავღნიშნო, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ეროვნები არის არის ადამიანი, მთავარი ის არის, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მისთვის ინფორმაცია და სერვისებზე, რეგიონებში კი სერვისებზე წვდომა სამწუხაროდ საკმაოდ დაბალია “, - განაცხადა სხილაძემ”

ჩვენთან საუბრისას სახალხო დამწველის წარმომადგენელმა ციფრებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 2015 წელს ნაადრევი ქორწინების გამო 600-მდე ახალგაზრდამ განათლების მიღებაც შეწყვიტა.

“მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ 2015 წელს 576 არასრულწლოვანმა შეწყვიტა განათლების მიღება სკოლაში ქორწინების მიზნით. ეს მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით. 13-16 წლამდე 225 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენი შემთხვევები 16-დან 18-მდე მერყეობდა.

რაც შეეხება არარეგისტრირებულ ქორწინებებს ასეთი 611 შემთხვევა დაფიქსირდა. ამასთან გეტყვით, რომ სანამ ეს კანონი შეიცვლებოდა მაგალითად, 2015 წელს, 1500-მდე არასრულწლოვანი დედა დარეგისტრირდა. შესაბამისად, თუ დავაკვირდებით ამ ციფრებს მიხვდებით, რომ ეს ყოველთვის ხდებოდა”, - განაცხადა სხილაძემ.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ნაადრევი ქორწინებები ეტაპობრივად აუცილებლად იკლებს და ამისათვის სახალხო დამცველი არაერთ პროექტს ახორციელებს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიწოდებას. სხილაძის განცხადებით მნიშვნელოვანია, რომ იმ პროცესის პრევენციაში რომელსაც ადრეული ქორწინება ჰქვია, წვლილი არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ ოჯახმა და სკოლამაც უნდა შეიტანოს.

იუსტიციის მინისტრი ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პატრონაჟისთვის აქტიურ ნაბიჯებს დგამს

მარი ტაბატაძე

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის იუსტიციის მინისტრმა, საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტთან თანამშრომლობით, ფონდი ,,სალვე'' დაარსებას და ცოტა ხნის წინ ის ოფიციალურად დაარეგისტრირა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ახალდაფუძნებულ ფონდს აქვს ორი კონკრეტული მიზანი: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და დაფინანსება და ასევე, სოციალურად დაუცველ ახალშობილებში კვების დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ფონდი ,,სალვე'' გეგმავს ისეთი პროექტების დაფინანსებას, რომელთა საშუალებითაც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ქუჩისგან განრიდება გახდება შესაძლებელი. რაც შეეხება მეორე მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ფონდი სოციალურად დაუცველ ოჯახებს იუსტიციის სახლებში ახალშობილთა დაბადების რეგისტრაციისას სპეციალურ სასაჩუქრე პაკეტებს გადასცემს. გავრცელებული ინფორმაციით, სხვა საბაზისო საჭიროებებთან ერთად, პაკეტში იქნება ის ვიტამინებიც, რომლებიც, UNICEF-ის სტანდარტით, კვების დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის აუცილებელი.

სტატისტიკური მონაცემებით, დღეს საქართველოში კვების დეფიციტს 100 000 ბავშვზე მეტი განიცდის. ეს, ბუნებრივია, ხელს უშლის მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას. როგორც ცნობილია, ამ დეფიციტის აღმოფხვრა ურთულესია ორი წლის ასაკის შემდეგ. ამიტომ, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, ,,სალვეს'' ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ბავშვების კვების დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობა იქნება.

თეა წულუკიანის განცხადებით, აუცილებელია ,,ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისთვის შეიქმნას პროექტები, რომ ისინი აყვანილ იქნენ მზრუნველობის ქვეშ და გაერიდონ ქუჩას, ნაცვალად ამისა კი შეიძინონ ადგილი, რომელსაც ოჯახი ჰქვია''. ამასთანავე, იუსტიციის მინისტრი მოხარულია, რომ ფონდის დაარსებაში საფრანგეთის მხარემ მნიშვნელოვანი წვლილი გაიღო. ,,მადლიერებით ვარ სავსე საქართველოს ფრანგი მეგობრების, განსაკუთრებით კი ბატონი ანტუან ბარდონისადმი ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეჭირვებული ბავშვების მხარდაჭერისთვის'', - განაცხადა თეა წულუკიანმა. ,,ჩემი სურვილი მხოლოდ ფონდისათვის სულის ჩადგმა იყო. ბატონი ბარდონის გარდა, UNICEF-ის ხელმძღვანელმაც წამახალისა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ახლა ვეძებ ადამიანებს და ორგანიზაციებს, ვინც კონკრეტულ პროექტებს პატრონაჟს გაუწევს და მათ განხორციელებას უზრუნველყოფს'',- აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა. აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საადვოკატო ფირმის ,,დეკარტის'' ხელმძღვანელმა საქართველოში, ნიკოლა მარიანიმ, ფონდს უსასყიდლო საადვოკატო მომსახურება შესთავაზა და შესაბამის საქმიანობას სწორედ ის უხელმძღვანელებს.

ფონდის ფრანგი თანადამფუძნებლის, ანტუან ბარდონის, განცხადებით, პრობლემა რეალურად დგას ქვეყანაში. ის დაუშვებლად მიიჩნევს 12 წლის ბავშვების მიერ საჭმლისათვის საჭირო ფულის ქუჩაში შეგროვებას და ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ერთვება პროექტის განხორციელების პროცესში. ამასთან, საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ფონდის დაფუძნებას პირველ ნაბიჯად აფასებს და დარწმუნებულია, რომ ის წარმატებას მოიტანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონდს უკვე გამოუჩდნენ პირველი დონორები. ისინი არიან საფრანგეთის ყოფილი ელჩი საქართველოში, რენო სალენსი და ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე როგორც ქართველი, ისე ფრანგი და ამერიკელი ბიზნესმენები. თეა წულუკიანმა და ანტუან ბარდონმა ფონდი ყაზბეგში, საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გალა ვახშამზე დააფუძნეს. იქვე გაიმართა აუქციონი, სადაც ზემოთ ჩამოთვლილმა შემომწირველებმა საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის სხვადასხვა ორგანიზაციის, ხელოვანისა და სპორტსმენის მიერ გადაცემული ნივთები შეიძინეს. შედეგად, ,,პირველი 10 000 ლარი უკვე შეგროვდა, რაც იმედს იძლევა, რომ ბავშვებისათვის დაგეგმილი პროექტების განხორციელება 1-ლი ივნისიდან შესაძლებელი გახდება'', - აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. შესაბამისად, იმ დროისთვის პროექტის პირველი ბენეფიციარების დაფინსება უკვე იგეგმება.

უფრო კონკრეტულად, რა პროექტებს დაგეგმავს და განახორციელებს ახალდაფუძნებული ფონდი ,,სალვე'' ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, ორი ქვეყნის წარმომადგენელი დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ ფონდი წარმატებულ ფუნქციონირებას შეძლებს და გამოთქვამენ მზაობას, რომ დასახული მიზნების მიღწევის პროცესში არაერთი პროექტი განახორციელონ.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს საქართველო სხვადასხვა ღონისძიებებით უეჩთდება

კავშირი „ჩვენი ბავშვები“ 21 მარტს წელს მეხუთედ აღნიშნავს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს საერთაშორისო ორგანიზაცია *Down Syndrome International*-თან პარტნიორობით.

ამ დღისადმი მიძღვნილი კვირეული ოფიციალურად კვირას, 13 მარტს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯია“ს, მე-6 პავილიონში საზეიმოდ გაიხსნა. წარმოდგენილია ფოტო გამოფენა „ჩემი მეგობარი“, რომელიც მოიცავს 25 თანამედროვე პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა პორტრეტებს.

ფოტო პროექტში ჩართულები არიან გურამ წიბახაშვილი, გოგა ჩანადირი, თამარ ჯიბუტი, ნინო ბაიდაური, დარო სულაკაური, მარი ნაკანი და სხვა ფოტოგრაფები.

კვირეულის ფარგლებში ასევე იგეგმება:

15 მარტი, 18:00 - დისკუსია თემაზე „დაუნის სინდრომის მქო-ნე ადამიანთა გამოწვევები დღევანდელ საქართველოში“. ვაკის მედიათეკა, ვაკის პარკი

18 მარტი, 11:00 - კონფერენცია „დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა გამოწვევები დღევანდელ საქართველოში“. იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სანდრო ეულის ქუჩა № 3ა

19 მარტი, 18:00 - პერფომანსი - „მეგობART“. დ. შევარდნაძის ეროვნული გალერეა

21 მარტი, 12:00 - მსვლელობა ვაკის პარკიდან თსუ-ის პირველი კორპუსამდე

21 მარტი, 19:00 _ სპექტაკლი „პატარა უფლისწული“. მოძრაობის თეატრი, მუშტაედის ბაღი.

2006 წლის 21 მარტს პირველად აღინიშნა დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. დღე და თვე შემთხვევით არ აურჩევიათ, 21-ე ქრომოსომას აღნიშნავს თარიღი, ხოლო მარტი როგორც წელიწადის მესამე თვე ტრისომიულ მოვლენას.

21 მარტი სიმბოლურია იმითაც, რომ სწორედ ამ დღეს ადგილი აქვს ბუნებრივ მოვლენას - ბუნიაობას, ამ დროს მზე ზენიტშია ჩრდილოეთ ტროპიკის მიმართ, ამიტომ ჩრდილოეთი ნახევარსფერო გაცილებით მეტ სითბოსა და სინათლეს იღებს, ვიდრე სამხრეთი.

სწორედ ამიტომ დაუნის სინდრომის მქონე პირებს ხშირად “მზიან ადამიანებად” მოიხსენიებენ.

ტრადიციულად აქციის დევიზი არის - “მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან”.

თავისუფალი მხატვრის გზა თბილისიდან გერმანიამდე

ნინი მაჭავარიანი ექსკლუზივი

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 10 მარტს ქეთი კაპანაძის მონოგრაფიის *"What is love?"* პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი ცნობილმა გერმანულმა გამომცემლობამ „Verlag Ketter"-მა გამოსცა, რედაქტორმა გია ეძგვერაძემ წიგნისთვის სტატიების დასაწერად მოიწვია ბონელი კრიტიკოსი ნოემი სმოლიკი, ბერლინის ნოიერ კუნსტფერაინის კურატორი კატრინ ბეკერი, ბრუკლინის პრატის უნივერსიტეტის ლექტორი დომინიკ ნახასი და ლონდონელი კულტურულოგი დევიდ ლილინგტონი.

ქეთი კაპანაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში (1982-1990) აქტიურად მუშაობდა თანამედროვე რადიკალური ხელოვნების პრობლემებზე. 21-ე საუკუნის დასაწყისში იგი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც აქტიურად განაგრძო მოღვაწეობა. 2002 წელს გამომცელბლობა „Ketter"-მა გამოსცა მისი პირველი წიგნი *„Not only hands but shoulders"*.

ქეთი კაპანაძე არაერთი გრანტისა და სტიპენდიის მფლობელი გახდა. 2008-2009 წლებში ის ბადენ ვუტენბერგის სტიპენდიით პარიზში ცხვრობდა და მუშაობდა.

„ობზერვერი" მას ახალ წიგნსა და თავის გეგმებზე გაესაუბრა.

საქართველოს გარდა ბევრ ქვეყანაში გიცხოვრიათ, ამჟამად სად მოღვაწეობთ?

1983 წლიდან ვმუშაობ როგორც თავისუფალი მხატვარი, პარალელურად ვსწავლობდი აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობა გავაგრძელე. 90-იან წლების პერიოდში გამოფენის გაკეთების უფრო მეტი შესაძლებლობა იყო. ხშირად მქონდა სხვადასხვა სტიპენდია: 1992 წლიდან ინგლისში, შვეიცარიაში, ხოლო 2000 წლიდან გერმანიაში, სადაც ქალაქ შტუდგარდთან ახლოს ვცხოვრობდი. მაშინ 2 წლით წავედი და შემდეგ გერმანიაში დავრჩი, მას შემდეგ ვთანამშრომლობ გერმანიის სხვადასხვა გალერეებთან.

რაზეა ახალ წიგნში გამახვილებული ყურადღება?

ეს არის მონოგრაფია - აქ შესულია ყველა ის ნამუშევარი რაც კი აქამდე შემიქმნია. სხვადახვა სახის ნამუშევრები ერთ წიგნშია თავმოყრილი: 1980-იანი წლების შავი გრაფიკა, 1990-იანი წლების პერიოდში შექმნილი ფოტო-ნამუშევრები, ასევე 2012-2013 წლის ნამუშვრები.

რატომ ჰქვია წიგნს *"What is love?"*

ეს არის ჩემი ერთ-ერთი პირველი ნამუშევრის ინსტალაცია და ასე ამიტომ დავაქრვი. რაღაც პერიოდი ბევრს ვმუშაობდი ტექსტებითა და სიტყვებით, რასაც ნიკელის მეშვეობით ვაკეთებდი. ამ ნამუშევრების გამოფენა საქართველოში 1998 წელს იყო. ვძერწავდი სიტყვებს, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ მაგალითად: „Angel"-ს, კითხვის ნიშნებს, „Love"-ს და მრავალ სხვას.

როგორია თქვენი სამუშაო გარემო?

ძირითადად სადაც ვმუშაობ, იქ ვცხოვრობ. გერმანიაში მქონდა სახელოსნო, სადაც დიდხანს ვცხოვრობდი. ფერწერული ნამუშვრის შექმნის დროს მთელი დღის განმავლობაში ვმუშაობდი, ღამე ვიძინებდი და დილით ჩემს ნამუშევარს ვათვალიერებდი, თუ რამე იყო დასამატებელი მაშინვე ვასრულებდი მუშაობას. როდესაც ვმუშაობ, გარეთ არ გავდივარ, შეიძლება ეს ერთი და ორი დღეც გაგრძელდეს. ფოტოგრაფიული ნამუშევრების შესაქმნელად კი პირიქით, გარეთ გავდივარ. ადრეულ პერიოდში ფოტოებსაც სახლში ვიღებდი. კაზანში მაქვს გაკეთებული ციკლი - ქალაქის ხედი და ადამიანი სახლში, ადამიანი, რომლის სახეც არ ჩანს. ამჟამად ვცხოვრობ ძალიან დიდი სახლში, სადაც ჩემი სამუშაო ოთახი მაქვს.

გაგიჭირდათ თუ არა გერმანიაში თავის დამკვიდრება და რა პრობლემებს წააწყდით?

იქიდან გამომდინარე, რომ სტიპენდია მქონდა, შესაბამისად, არ მომიწია ნულიდან ყველაფრის დაწყება. უკვე სიტუაციაში გარკვეული ჩავედი, თუმცა სტიპენდიის დამთავრების შემდეგ მე თვითონ უნდა მეზრუნა კონტრაქტებზე, გამოფენებსა და ბევრ სხვა რამეზე. უცხო ქვეყანაში სამსახურის ძებნა არ მინდოდა, რადგან ეს დრო შემოქმედებას დააკლდებოდა და ამის გამო ისეთივე სიძნელეებს წავაწყდი, რასაც იქაური მხატვრები აწყდებიან. როდესაც გერმანიაში წავედი დაახლოებით 36 წლის ვიყავი, ეს ის ასაკია, როდესაც შემდგარი მხატვარი ხარ და ამის მიუხედავად, შეიძლება წააწყდე ისეთსირთულეებს, რასაც არ მოელი. მაგალითად: საქართველოში ადამიანთან საუბრის დაწყებისას და მის შემოქმედებასთან გაცნობისას ასაკით არ ინტერესდები. იქ კი ამაზე ხაზი იყო გასმული. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ყველას თავისი კულტურა და პრობლემა აქვს. გამიჭირდა, მაგრამ ყველაფერს გავართვი თავი.

აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?

პერიოდულად ჩამოვდივარ, მაგრამ საცხოვრებლად დარჩენას არ ვაპირებ. სხვა ქვეყანას, მის ცხოვრებასა და იმ კულტურას შევეჩვიე. მიმაჩნია, რომ საქართველო კულტურულ გარემოს მოწყვეტილია, სწორედ ამის გამო აქ ცხოვრება ხელოვანი ადამიანისთვის საინტერესო არაა.

თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ახალ წიგნს ქართველი საზოგადოება?

იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ დაინახავენ თუ რა გაკეთდა და რამხელა კულტურული მნიშვნელობა აქვს ამას. ასე, რომ საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება.

თქვენ პირველი ქალბატონი იყავით, რომელიც თანამედროვე ხელოვნებაში მუშაობდით, რა სირთულეებთან იყო ეს დაკავშირებული?

იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ხელოვნებაში მომუშავე პირველი ქალი ვიყავი, ზოგი ამას ფემინიზმადაც აღიქვამდა. მაშინ ძალიან ძნელი იყო თავის დამკვიდრება, ვეხებოდი ინდივიდის ან სექსის თემებს. ხშირად სამინისტროდან მოდიოდნენ და უცხოელებს მახვედრებდნენ, რომ ეჩვენებინათ ქალის მიერ შექმნილი თანამედროვე ხელოვნება საქართველოში.

რომელია თქვენი ყველაზე წარმატებული ნამუშევარი?

ეს იყო გამოფენა „ჰამბურგერ ბანჰოფის" მუზეუმში იყო, რომელიც ბერლინში მდებარეობს. მაშინ მახსოვს ბევრ რამ გაიყიდა და ნამუშევრების რაღაც ნაწილი მომპარეს კიდეც.

როდის იწყებთ ახალ წიგნზე მუშაობას?

ახალი წიგნის იდეაზე უკვე ვსაუბრობთ. იმის გამო, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა ნამუშევარი დამიგროვდაამ წიგნში ყველაფერი ვერ ჩავატიე.

გაგვიმხილეთ თქვენი საყვარელი ცხოვრებისეული ფრაზა

ეს არის აინშტაინის სიტყვები „დარჩით ცხნობისმოყვარე". ძალიან მიყვარს ეს ფრაზა, რადგან პროფესიის მიუხედავად, ყველა ადამანი უნდა იყოს ცნობისმოყვარე. თუ ჩავთვალით, რომ ყველაფერი ვიცით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია.

დასული ტერიტორიების საგენტო ბერლინის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობს

დაცული ტერიტორიების საგენტო გერმანიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა ITB Berlin-ში მონაწილეობს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო ტურისტული გამოფენაა და ის ყოველწლიურად ბერლინში იმართება. გამოფენა მოიცავს ტურიზმის ყველა მიმართულებას, მათ შორის ეკოტურიზმს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია დაცული ტერიტორიები.

„ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი, ინდუსტრიის ხვალინდელი დღეა. გამოფენაზე ცალკე დარბაზი ეთმობა ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს. ჩვენი სტენდიც სწორედ ამ სივრცეშია განთავსებული. ვფიქრობ, საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიას დიდი პოტენციალი აქვს ეკოტურიზმის განვითარებისთვის." – განაცხადა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ ლაშა მოისწრაფიშვილმა.

საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით სააგენტო მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღებას.

ქართული სპორტის მემატიანე და მუზეუმის მცველი

ნინი მაჭავარიანი **ექსკლუზივი**

გასული 2015 წელი ქართული სპორტისთვის გამორჩეული იყო, ქვეყანამ რამდენიმე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას უმასპინძლა, არაერთი სახელოვანი სპორტსმენის იუბილე იზეიმა, მორაგბეებმა ტრადიციულად გამარჯვებით გაგვახარეს, მოჭადრაკე ქალბატონებმა კი, მსოფლიო ჩემპიონატი ტრიუმფით დაასრულეს.

„ქართულ სპორტს არასდროს აკლდა ვარსკვლავები და დიდი გამარჯვებები - ყოველთვის განებივრებულნი ვიყავით ფეხბურთელების, კალათბურთელების, ხელბურთელების, მოჭადრაკეების, ძიუდოისტების, მოჭიდავეების, ველოსპორტსმენების, მძლეოსნებისა და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელთა გამარჯვებებით“, - ამბობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

ქართულმა სპორტის მუზეუმმა, სადაც ქართული სპორტის სასახელო წარსულის დამადასტურებელი თასები, მედლები და სხვა უამრავი ჯილდოა გამოფენილი და დაცული, 2015 წელს 50 წლის იუბილეს უმასპინძლა.

ნახევარ საუკუნის მანძილზე სპორტულ მუზეუმში უამრავმა მედალმა, თასმა თუ სპორტთან დაკავშირებულმა ნივთმა მოიყარა თავი. სწორედ ამ მუზეუმში ინახება პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, დავით ციმკურიძის ოქროს მედალი, ქართული ფეხბურთის პირველი საერთაშორისო ტრიუმფის დამადასტურებელი „კოლუმბის კარაველი“. 1677 წელს დაბეჭდილი ნაშრომი ფარიკაობაზე, ლეგენდარული ქართველი მძლეოსნის, ნინო დუმბაძის ბადრო, ქართული სპორტის გამორჩეული ნოვატორის გიორგი ნიკოლაძის პირადი ნივთები, სხვადასხვა სპორტსმენის საარქივო მასალა და ისტორიის ამსახველი კადრები.

საგამოფენო დარბაზში ადგილის სიმცირის გამო, დაცული 10 ათასამდე ექპონატიდან მხოლოდ მცირე ნაწილია გამოფენილი. აქ თავმოყრილია დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას ძველი დროიდან დღემდე. ეს ის უნიკალურ ფოტოსურათები და დოკუმენტებია, რომლებმაც საქვეყნოდ სახელი გაუთქვეს სპორტს.

აღსანიშნავია, რომ სპორტის მუზეუმმა ძალიან დიდი გზა განვლო სანამ 2016 წლამდე მოაღწია და ამაში განსაკუთრებული წვლილი ქალბატონ ლილი ლომსაძეს ეკუთვნის - მუზეუმის ერთგული მცველი, რომელიც მუზეუმს დაარსების დღიდან ემსახურება.

„როდესაც ადამიანი წარსულს კარგავს, მომავლის პერსპექტივაც უქრება. იმ დროის მანძილზე, რაც ამ მუზეუმში გავატარე ყოველთვის მახსოვდა ეს სიტყვები. აქაურობას დაარსების დღიდან ერთგულად ვემსახურები. მოხარული ვარ, რომ ამდენ ნივთს, მედალს და ჯილდოს ვხედავ. მთელი ჩემი ცხოვრება ამ საქმეს შევალიე და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ქართული სპორტი ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა“, - განაცხადა ლილი ლომსაძემ „ობზერვერთან“ ინტერვიუში.

1965 წლის 14 აგვისტოს თბილისში კონსტიტუციის ქუჩაზე, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან გაიხსნა მუზეუმი, სადაც ყველაზე ახალგაზრდა ისტორიკოსი ლილი ლომსაძიე იყო. დღეს ის მუზეუმის ყველაზე ხანდაზმული თანამშრომელია.

როგორც თავად ისტორიკოსმა თქვა, თაობები მოდიან და მიდიან, მთავარია, რომ მათი გაკეთებული საქმე რჩება. წლების განმავლობაში ბევრი სასიხარულო რამ მომხდარა და იმედგაცრუების მიუხედავად, ყველა სირთულეს გაუმკლავდნენ, ხელი არასდროს ჩაუქნევიათ. ამის დამსახურებაა, რომ ისტორიულმა კადრებმა ჩვენამდე მოაღწიეს.

განსაკუთრებით მძიმე 2008 წელი იყო. გაზაფხულზე მუზეუმი გაიქურდა, მოიპარეს უნიკალური ექსპონატები, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები. ამ პერიოდში მუზეუმის არსებობას საფრთხე შეექმნა, თუმცა თანდათან მუზეუმის ფონდი არაერთი საინტერესო ჯილდოთი, გამოცემით თუ მედლით შეივსო.

საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი 1985 წლის 6 მარტს სპორტის სასახლეში გაიხსნა. მისი შექმნის იდეა სპორტის ენთუზიასტს, პროფესორ მიხეილ გიორგაძეს ეკუთვნის, რომელმაც პირველმა დაიწყო ექსპონატების შეგროვება. მის მიერ დაწყებული საქმე დოცენტმა ლევან გიორგაძემ გააგრძელა.

თავდაპირველად მუზეუმს შენობაც არ ჰქონდა, თუმცა ლილი ლომსაძემ და აზა მოგელაძემ კონსტიტუციის ქუჩაზე გამოყოფილ პატარა ოთახში შეძლეს ყველაფრის წესრიგში მოყვანა. მუზეუმს

არც ფულადი ფონდი გააჩნდა და არც მილიონიანი ქონება, რომელსაც დღეს ფლობს. ამ ორ ადამიანს ენდობოდნენ სპორტსმენები, რომლებიც მათთვის ყველაზე ძვირფასს - ოქროს მედლებს, თასებს, სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს გადასცემდნენ.

ქართულ სპორტულ მუზეუმში ინახება 1677 წელს დაბეჭდილი იტალიელთა ტრაქტატი ინახება, რომელიც კომერციული თვალსაზრისით ფასდაუდებელია. ეს წიგნი მუზეუმს ლევ გოლოვნიამ საჩუქრად გადასცა.

ამ მუზეუმში შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს სპორტსმენთა წარსულს, მათ მიღწევებს. აქ შეგიძლიათ ნახოთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების მიერ 1973 წელს ესპანეთში მოპოვებული „კარაველა“, რომელიც გუნდმა ინგლისის, პორტუგალიისა და ესპანეთის ჩემპიონების მონაწილეობით ტრადიციულ ოთხთა ტურნიში „ბენფიკასა“ და „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ გამარჯვებით დაიმსახურა. მუზეუმში ყველა ქართველი ჩემპიონია წარმოდგენილი. არის თემატიკური სტენდებიც: ალპინიზმი, ფეხბურთი, ჭადრაკი და სხვა.

ქეთევან ლოსაბერიძის „ოქროს“ ოლიმპიური მშვილდ-ისარი, ევროპის ჩემპიონის, დავით კვაჭაძის მოკრივის სარტყელი, მსოფლიოს ჩემპიონის, ირინე გაბაშვილის ბურთი და ასე შემდეგ. გამოფენილია ჯილდოები, რომლებიც მოიპოვეს ლევან თედიაშვილმა, ზურაბ საკანდელიძემ, ანზორ კიკნაძემ, ალექსანდრე მეტრეველმა, ომარ ფხაკაძემ, ნანა იოსელიანმა.

ბოლო ექსპონატი, რაც მუზეუმს შეემატა, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული „საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის“ გამოსავლენი რეფერენდუმის აფიშაა, რომელსაც ათლეტთა და მუზეუმის კოლეგების ავტოგრაფები ამშვენებს. აღსანიშნავია, რომ ჯილდოების სია მუზეუმის დაარსებიდან დღემდე უწყვეტად ივსება, რაც ქართული სპორტის მემატინის დამსახურებაა.

ქართველი მხატვრების ტილოები თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზეა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 9-დან 16 მარტის ჩათვლით თურქეთის დედაქალაქში, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე „ART-ANKARA“ წარმოდგენილია 3 ქართველი მხატვრის – გურამ ცერცვაძის, ავთანდილ თოფურიასა და დავით პოპიაშვილის 30 ფერწერული ნამუშევარი.

„ART-ANKARA“ თურქეთის საგამოფენო კომპანია „ATUS“-ისა და თურქეთის მხატვართა გერთიანების, ასევე გალერეათა ასოციაციის (TUSGAD) ორგანიზებით იმართება.

თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობას თურქეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გალერეები და სახელოვნებო ორგანიზაციები იღებენ. „ART-ANKARA“ თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ უმსხვილეს პლატფორმას წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე ხელოვნების განვითარებას უწყობს ხელს.

ეროვნულ მუზეუმში ნუმიზმატიკური საგანძურის გამოფენა გაიხსნა

ნუმიზმატიკური საგანძურის განახლებული გამოფენა ეროვნულ მუზეუმში 10 მარტს გაიხსნება. ექსპოზიცია საზოგადოებას აცნობს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის ხანგრძლივ ისტორიას ძვ.წ. VI საუკუნიდან 1834 წლამდე. გამოფენაზე წარმოდგენილია 3,500-მდე მონეტა.

მათ შორისაა კოლხური თეთრის იშვიათი ნიმუშები, კოლხეთის მეფის აკეს სტატერი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები, რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის დენარების იმიტაციები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში 100,000-მდე მონეტა ინახება, რომელთა უმეტესობა საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ნუმიზმატიკური და ჰერალდიკური ხასიათის ექსპონატები ფინანსთა სამინისტროსგან გადაეცა.

ყველა სტუდენტი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია

ბვანსა სილიჯაშვილი

„მოხსენი!“, „რეალური ავტონომია უნივერსიტეტს!“, - ამ ლოზუნგით 11 მარტს თსუ-ს პირველ კორპუსში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ცოცხალი ჯაჭვით დემონსტრაციული მსვლელობა მოაწყვეს. ისინი მოითხოვდნენ კანცლერის არჩევნების სისტემის რეფორმირებას და კანცლერობის ერთადერთ კანდიდატს, გიორგი გაფრინდაშვილს მოუწოდებდნენ, მოეხსნა კანდიდატურა.

ახალგაზრდებს უნივერსიტეტის ზოგიერთი ლექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ.

მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განცხადება გაავრცელა და თსუ-ს რექტორს, ვლადიმერ პაპავას არჩევნების პროცესის დამოუკიდებლობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა სთხოვა, ხოლო გიორგი გაფრინდაშვილს, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საკუთარი კანდიდატურის არჩევნებიდან მოხსნა.

ვლადიმერ პაპავა პრემიერის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზადაა არჩევნები გამჭირვალედ ჩაატაროს.

„ყველა სტუდენტი თანასწორია - არა სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგიებს!“ - სწორედ ამ სახელწოდებით დაიწყეს სტუდენტებმა 7 და 10 მარტს თვითმმართველობის წინააღმდეგ აქციათა ციკლი. აქციის მონაწილეები თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას აპროტესტებდნენ. კერძოდ, პროტესტის საბაბი გახდა 2016 წლის 28 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით თვითმმართველობის 75 წევრისთვის ბაკურიანში ჩატარებული ტრენინგი „პროექტების მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი“, რომელზეც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 24 600 ლარი დაიხარჯა.

10 მარტის აქციაზე სტუდენტები კიდევ ერთი ახალი ლოზუნგით წარდგნენ: „არა მოძალადე კანცლერს. ყველა სტუდენტი თანასწორია“. აღნიშნულით მათ საშუალება არ მისცეს სენატის საბჭოს დაემტკიცებინათ კანცლერის ერთადერთი კანდიდატურა.

აქციამ ეზოდან პირველი შენობის კორპუსის შენობაში გადაინაცვლა. სტუდენტები სენატის სხდომაზე დასწრებას მოითხოვდნენ. მას შემდეგ რაც, სენატის წევრებმა ირაკლი კუპრაძემ და შოთა ლორთქიფანიძემ შესვლზე უარი განუცხადეს, სტუდენტებმა შიგნით შეღწევა სცადეს, რისი საშუალებაც დაცვამ არ მისცა. უნივერსიტეტის დაცვა და სტუდენტები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირსპირდნენ. ადგილზე პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ. ოთხსაათიანი აქციის შემდეგ სენატის წევრები დარბაზში ვერ შევიდნენ. შედეგად, სხდომა ჩაიშალა. სტუდენტებმა კი ღამე უნივერსიტეტის შენობაში გაათენეს.

გაფრინდაშვილი თვითმმართველობის პირველი და მეორე მოწვევის წევრი იყო. 2010 წლიდან დღემდე-ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწედ მუშაობს. სტუდენტების თქმით, მისი საქმიანობის პერიოდში, 2011 წელს, სტუდენტური მოძრაობა „თარგმნეს“ მიერ დაგეგმილი პრეზენტაციისას, თვითმმართველობის წევრები ფიზიკურად გაუსწორდნენ აქტივისტებს. ადგილზე მისულ ჟურნალისტებს კი, გაფრინდაშვილმა განუცხადა, რომ არავინ არავის არ სცემდა.

„ის არის იმ ძალადობრივი სისტემის კადრი, რომელიც 2011 წელს ზღუდავდა სტუდენტების გამოხატვის თავისუფლებას და ფიზიკურად უსწორდებოდა მათ“, - ამბობს აქციის ორგანიზატორი, გიორგი არობელიძე.

ამის დამადასტურებლად კი სტუდია „მონიტორის“ გამოძიება და ვიდეოკადრები არსებობს, სადაც სტუდენტები ფიზიკურად ძალადობის ფაქტებზე საუბრობენ.

თვითმმართველობა აღნიშნულ კანდიდატს ღიად უჭერს მხარს. სტუდენტებს კი ეჭვი უჩნდებათ, რომ მისი კანცლერობის შემთხვევაში თვითმმართველობა კიდევ უფრო პრივილიგირებული გახდება და სტუდენტურ უთანასწორობასთან ერთად თსუ-ს ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯებიც გაიზრდება, ვინაიდან კანცლერი არის ის პირი, რომელიც მთლიანად განაგებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს.

სტუდენტების განცხადებით, აქციებს მანამ არ შეწყვეტენ, სანამ მათი უპირველესი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და გაფრინდაშვილი თავის კანდიდატურას არ მოხსნის.

აქციის ორგანიზატორების მოთხოვნებს უცვლელად გთავაზობთ:

1. მოვითხოვთ, თსუ-ის სტუდენტურ თვითმართველობასთან ერთად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და რექტორმა გაიზიაროს პასუხისმგებლობა ზემოთხსენებული და მსგავსი პროექტების დაფინანსებაზე, რომელიც საუნივერსიტეტო საზოგადოების დიდ ნაწილს არამიზნობრივად გახარჯულ თანხად მიაჩნია.

2. დადგინდეს დასაფინანსებელი პროექტების ღირებულების ზედა ზღვარი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის ერთადერთ ფუნქციად საუნივერსიტეტო წარმომადგენლობითი ორგანოები (საფაკულტეტო საბჭოები, სენატი) განისაზღვროს. გაუქმდეს მისი ბიუროკრატიული სისტემა.

4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დროს ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდასაჭერად არ იქნას გამოყენებული ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები.

სტუდენტური თვითმმართველობა ბრალდებებს არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ისინი არ იღებენ არც ერთ ისეთ ღონისძიებაში მონაწილეობას, სადაც ჯილდოდ პრიზია. თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, პაატა ბახტურიძე მომავალი ტრენინგების შესახებ ამბობს, რომ მას ვადა მაისში ეწურება და არ იცის მსგავსი ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება თუ არა.

„თვითმმართველობას გააჩნია მოვალეობები, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს. ეს არის თუნდაც რიგი ღონისძიებების ორგანიზება. რაც შეეხება სტუდენტთა მოთხოვნებს - მაგალითად, სტატუსშეჩერებული სტუდენტების დახმარებას, ამ თანხებს განკარგავს ადმინისტრაცია, რექტორი და არა ჩვენ. აპელირება ხდება 24 000 ლარზე, რომელიც დაიხარჯა ბაკურიანის სემინარზე. ეს თანხა მოხმარდა თვითმმათველობის სტუდენტებს, რომლებიც წლიდან წლამდე უსასყიდლოდ მუშაობენ, აკეთებენ პროექტებს სტუდენტებისთვის, დებენ ადამიანურ რესურსს. ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ეს არის თანხების არამიზნობრივი ხარჯვა“, - ამბობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, შოთა კეჟერაშვილი.

აღნიშნული ტრენინგი წელს მეოთხედ ჩატარდა. 2015 წელს თსუ-ის სტუდენტებმა ადმინისტრაციიდან თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების საბიუჯეტო ამონაწერი გამოითხოვეს. აღმოაჩინეს, რომ 2015 წლის თებერვალში ჩატარებულ ტრენინგში 19 000 ლარი დაიხარჯა. რის შემდეგაც, რექტორ ვლადიმერ პაპავას შეხვდნენ. მან ამ პროექტს „ხარვეზი“ უწოდა და სტუდენტებს დაპირდა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. თუმცა 2016 წელს მსგავს პროექტში უკვე 24 600 ლარი დაიხარჯა.

სტუდენტებთან სასაუბროდ გამოსულმა პაპავამ განცხადა, რომ გასულ წელს სტუდენტებისთვის გამოყოფილი თანხებიდან თვითმმართველობაზე მხოლოდ 22% დაიხარჯა. აგრეთვე დაადასტურა უნივერსიტეტში „ოდერეების“ ინსტიტუტის არსებობა. სტუდენტების თხოვნაზე მოეწოდებინა გაფრინდაშვილისთვის კანდიდატურის მოხსნა, მან მზაობა გამოაცხადა.

სტუდენტებს საბჭოს 8 წევრიც შეხვდა. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ იოსებ არჩვაძის კანდიდატურის მოხსნის შემდეგ, ხმა გიორგი გაფრინდაშვილს მისცეს. მათ ნაწილს ამ უკანასკნელის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ ჰქონდა. ამან კი სტუდენტების უკმაყოფილება გამოიწვია.

მოგვიანებით აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ირაკლი კუპრაძე ზეწოლის ფაქტებზე ალაპარაკდა. მან განაცხადა, რომ ძალოვანი უწყებები მისი ოჯახით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც გიორგი გაფრინდაშვილის წინააღმდეგ ბრალდებები გამოთქვა. ბრალდებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოეხმაურა: „გავრცელებულ ინფორმაციას, რომ სუს-ის თანამშრომლები იყვნენ ირაკლი კუპრაძის ოჯახში მისულები, არ ვადასტურებთ“.

უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სენატის საბჭო. თავად გაფრინდაშვილი კი სტუდენტებთან კანდიდატურის მოხსნაზე უარს აცხადებს. თუმცა, პრემიერ-მინისტრის მიმართვის შემდეგ, განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ორშაბათს მიიღებს.

“ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერ-მინისტრის განცხადება და ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ქვეყნის მთავრობის მეთაურის აზრს, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩემი არჩევა შესაბამისი იურიდიული პროცედურის დაცვით განხორციელდა აკადემიური საბჭოს მიერ. მიმაჩნია, რომ კონსულტაცია უნდა გავიარო იმ ადამიანებთან, რომლებმაც თავიანთი აზრი დააფიქსირეს და როგორც კანცლერობის კანდიდატს მხარი დამიჭირეს. აქედან გამომდინარე, ორშაბათს შევხვდები აკადემიური საბჭოს წევრებს, რომლებთანაც გავივლი კონსულტაციას და მივიღებ შესაბამის გადაწყვეტილებას.”

მომავლის პროგნოზირება რთულია, თუმცა რა შედეგებით დასრულდება სტუდენტთა შორის დაპირისპირება და აქციები თსუ-ში სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში გახდება ცნობილი.

ინკლუზიური პროფესიული განათლება ჩეხეთში საუკეთესო ინიციატივად დასახელდა

ევროპული განვითარების ფონდის მიერ, ათობით ევროპისა და პარტნიორი ქვეყნის ინიციატივებს შორის, პროფესიული სასწავლებლის ,,მერმისი,, მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დასახელდა.

აღნიშნულმა ინიციატივამ ასობით სისტემის მიღმა დარჩენილად ამიანს გაუხსნა გზა ღია შრომის ბაზრისაკენ. შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, ეფექტური და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა – ასე შეფასდა ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში.

ევროპული განვითარების ფონდის მიერ საქართველოს საპატიო პრიზი გადაეცა. გამოიცა პუბლიკაცია საქართველოს განათლების სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული შემთხვევების შესახებ.



რუსი მორაგბეთა მოლოდინები არ გამართლდა - "დათვების" მორიგი მარცხი "ბორჯღალოსნებთან"

ვაკო ყიფიანი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სოჭში რუსეთის ნაკრებთან ევროპის ერთა თასის მეოთხე ტურის შეხვედრა გამართა და მასპინძლები 7:24 დაამარცხა. რუსებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ამჯერად მაინც შეძლებდნენ საქართველოს დამარცხებას, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდათ.

თამაში აქტიურად დაიწყო. პირველ 15 წუთში ჩვენმა გუნდმა ჯარიმა ორჯერ დაარტყა. მერაბ კვირიკაშვილმა პირველი ჯარიმის გატანა ვერ შეძლო, მე-14 წუთზე კვირიკაშვილმა ზუსტი საჯარიმოთი ანაგრიში გახსნა (0:3).

მატჩის მე-18 წუთზე ლევან ხმალაძემ ბრწყინვალედ გადაკიდა ბურთი, რომელიც თამაზ მჭედლიძემ აიღო და რუსების ჩათვლის მოედანში პირველი ლელო დადო. კვირიკაშვილმა გარდასხვა ზუსტად შეასრულა (0:10). პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. მსაჯმა ტაიმის მიწურულს ქართველთა მხრიდან გიორგი ნემსაძე გაასინბინა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 4 წუთში ანტონ ფეიქრიშვილმა რუსებს ლელო დაუდო, გარდასახვა ზუსტად შეასრულა მერაბ კვირიკაშვილმა და ანგარიში (0:17) გახდა.

მატჩის 62-ე წუთზე რუსები შეცდნენ. კუშნარევი დაიბნა, რითიც კარგად ისარგებლა გიორგი ნემსაძემ და მესამე ლელო დაუდო რუსეთის ნაკრებს. მერაბ კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ შეასრულა გარდასახვა ზუსტად და ანგარიში (0:24) გახდა.

71-ე წუთზე რუსებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხეს. ლელოს ზუსტი გარდასხვა მიამატეს და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა 7:24.

სამწუხაროდ, ნაკრებმა ვერ შეძლო ოთხი ლელოს დადება და პრემიალური ქულის მოპოვება. მომდევნო მატჩს ,,ბორჯღალოსნები'' ,,დინამო არენაზე'' რუმინელი „მუხების" წინააღმდეგ გამართავენ.

ამ დროისთვის ჩვენს ნაკრებს 9 მატჩიდან 38 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს, რუმინეთს 4 ქულით უსწრებს. რუმინელმა „მუხებმა" ამ ტურში გერმანია 61 :7 გაანადგურეს. 19 მარტს გასამართ შეხვედრაზე ნაკრებს ტულონელები: მამუკა გორგოძე, ლევან ჩილაჩავა და კონსტანტინე მიქაუტაძეც დაეხმარებიან.



სპორტული სიახლეები

ჭიდაობა

ტრიუმფით დაასრულა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა რიგაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა. რევაზ მინდორაშვილის გაწვრთნილმა გუდმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი პირველობა არავის დაუთმო. ევროპის ჩემპიონები ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61) და გენო პეტრიაშვილი (125) გახდნენ.

ფეხბურთი

საფრანგეთის ლიგა 1-ის მორიგ ტურში ჯაბა კანკავას "რეიმსი" ქულას დასჯერდა. გუშინ, 11 მარტს, ლიგა 1-ის 30-ე ტურის ერთი შეხვედრა გაიმართა, სადაც "მონაკომ" კანკავას "რემსის" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ ანგარიშით 2:2 დასრულდა. კანკავა ძირითადში იყო და შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

კალათბურთი

კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების უახლოესი მატჩების კალენდარი ცნობილია. თასის გათამაშების ბოლო მეოთხედფინალურ მატჩს, რომელშიც საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული "ვითა" "დინამოს" დაუპირისპირდება, 30 მარტს, თბილისის სპორტის ახალი სასახლე უმასპინძლებს, 19:45 საათზე გაიმართება.

* * * * *

ბექა ბურჯანაძემ მორიგი წარმატებული მატჩი ჩაატარა ესპანეთის რანგით მეორე ლიგაში. მისმა გუნდმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა. ქართველმა ფორვარდმა 13-დან 7 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ბურჯანაძემ მთლიანობაში 19 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

ხელბურთი

საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ახალგაზრდულმა ნაკრებმა IHF/EHF-ის თასის გათამაშების ნახევარფინალში ბელგია 18:14 დაამარცხა და ფინალში გავიდა, სადაც ფარერებისა და ლატვიის გამარჯვებულს შეხვდებიან.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.
0179, Tbilisi, Georgia
E: info@observer.com.ge
T: +995 557 68 36 53